ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## ჩემპიონთა ლიგა დასკვნით ფაზაში შედის

გვ.9

სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ბატე-ლევერკუზენი | 5.5 | 3.5 | 1.7 |
| ბარსელონა-რომა | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| არსენალი-დინამო(ზ) | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| ბაიერნი-ოლიმპიაკოსი | 1.14 | 7.0 | 23.0 |
| პორტუ-დინამო(კ) | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| მაკაბი-ჩელსი | 10.0 | 4.5 | 1.36 |
| ლიონი-გენტი | 1.7 | 3.5 | 5.5 |
| ზენიტი-ვალენსია | 2.2 | 3.1 | 3.5 |

სამშაბათი, 24 ნოემბერი, 2015 №276 (6896) ფასი: 50 თეთრი

# „მალე დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც“

ისლამური სახელმწიფო ქართველ ხალხს ემუქრება



გვ.5

ხვიჩა გობაძის მამა: „საქართველოს არ უნდა ეშინოდეს ამ ოთხი კაცის მუქარის“

## ხიდაშელი: „რუსეთი საქართველოს 1991 წლიდან ეომება“



გვ.3

„შეიძლება, ნატოს მე-5 მუხლს გამოცდის ჩაბარება მოუწიოს“



გვ.2

## მექა ხანგოშვილი: „დავით ბორჩაშვილს ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი რომ ჰქონოდა, მეც მეცოდინებოდა“

„პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში გადინება ნულამდეა დაყვანილი“

## საქართველოს საზღვრებთან ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს აკავებენ გვ.2



გვ.3

## ემზარ კვიციანი: „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელების ტყვეობისგან თავისუფლდება“

„რუსეთს რომ ვებრძოდი, ამიტომ ვარ პრორუსული?“

ISSN 1987-9385

## კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ შევარდნაძის და სააკაშვილის გზით მიდის“



გვ.4

„ჯარი შეიყვანა თინა ხიდაშელმა და ისე გააყალბა არჩევნები საგარეჯოში“



გვ.4

## საბერძნეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 150.000-მდე მოქალაქე იმყოფება

## „მარგი“ — კალორიების შემცირების და ჯანმრთელობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მექა ხანგოშვილი: „დავით ბორჩაშვილს ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი რომ ჰქონოდა, მეც მეცოდინებოდა“

## „პანკისის ხეობიდან ახალგაზრდების სირიაში გადინება ნულამდეა დაყვანილი“

ნათია ხურცილავა

პანკისის ხეობის მკვიდრი მექა ხანგოშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ სამი დღის წინ ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულ პანკისელ დავით ბორჩაშვილს პირადად არ იცნობს, თუმცა იცნობს მის ოჯახს.

**მექა ხანგოშვილი:**

– მე ამ პიროვნების შესახებ არ მაქვს არავითარი ინფორმაცია, მაგრამ ის ადამიანები, ვინც საუბრობენ ამ ახალგაზრდის შესახებ, იმდენად პატივსაცემი და ავტორიტეტული პიროვნებები არიან, რომ მათზე დაყრდნობა შემიძლია. მაგალითად, მისი მამიდა ნაზი ბორჩაშვილი ჯოყოლოს სკოლის დირექტორია, ძალიან დიდი ავტორიტეტია და კარგი ადამიანი. ასევე ვიცნობ დედას. რაც შეეხება თავად ამ ახალგაზრდას, მასზე ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცნობ.

***– პანკისის ხეობიდან რამდენიმე ათეული ახალგაზრდა წავიდა სირიაში სწორედ ისლამურ სახელმწიფოში საბრძოლველად. ამაზე რას იტყვით?***

– ის პიროვნებები, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის სახელით იბრძვიან, დიდი დაკვირვების ქვეშ უნდა იყვნენ, მათი დაკავება საზღვარზევე უნდა მოხდეს. ისინი ტერორისტებად მოიაზრებიან.

გარდა ამ ჯგუფისა, არიან კიდევ ადამიანები, რომლებიც ოპოზიციაში იბრძვიან ბაშარ ასადის წინააღმდეგ და საერთოდ შეხება არ აქვთ ისლამურ სახელმწიფოსთან. ეს ადამიანები გარკვეული იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგად არიან წასულები, მაგრამ ბევრი ცუდი მიზნითა და განზრახვით ნამდვილად არ არის წასული. ამიტომ უნდა გაიმიჯნონ ის ახალგაზრდები, ვინც ტერორისტულ მიზნებს არ ემსახურებიან და ის ახალგაზრდები, რომლებიც სხვა მიზნებით იბრძვიან და ტერორიზმთან შეხება აქვთ.

***– როგორც ადვოკატისგან ვიცით, დავით ბორჩაშვილს კავშირი ჰქონდა სირიის თავისუფალ არმიასთან, რომელიც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის. რამდენად რეალური შეიძლება იყოს, რომ პანკისის ხეობიდან ახალგაზრდები ასადის ოპოზიციის რიგებში იბრძოდნენ?***





– მე არ მაქვს არავითარი ინფორმაცია ამ ადამიანებზე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ 2011-2012 წლებიდან, როდესაც აქტიურად დაიწყო ახალგაზრდების გადინება ამ ომში, მათი მოტივაცია ბაშარ ასადის ოპოზიციაში ბრძოლა იყო. 99% ამ მიზნით იყო წასული. თუმცა, იქ ლიდერებს რა მიზანი ჰქონდათ და ვინ ხელს ითბობდა, ეს უკვე სხვა საკითხია. მე ამ შემთხვევაში ახალგაზრდების გულწრფელ მოტივაციაზე მოგახსენებთ.

არაფრით შემიძლია იმის დაჯერება, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან, ამ სისასტიკესთან ან თარხან ბათირაშვილი, ან სხვები იყვნენ კავშირში, მე არ ვსაუბრობ საველე მეთაურებზე.

***– დავით ბორჩაშვილის დაკავების ფაქტმა, პანკისის ხეობაში რა რეზონანსი გამოიწვია?***

– სამწუხაროდ, ხეობის აზრი არ ვიცი. თუმცა, ეს ახალგაზრდა გამოკვეთილი ფიგურა რომ ყოფილიყო, მეც მეცოდინებოდა მის შესახებ. ამ ახალგაზრდას ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი რომ ჰქონოდა, მეც მეცოდინებოდა. არა მგონია, ის რამე კავშირში იყოს ტერორისტებთან. თუ იბრძოდა, ალბათ ასადის ოპოზიციაში. დედა ამბობს, არ იბრძოდაო. არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

***– სპეცსამსახურებს ალბათ ექნებოდათ გარკვეული ინფორმაცია, რა მიზნით დაბრუნდა ის საქართველოში.***

– ის ფეხშია დაჭრილი და ეს ალბათ რაღაც ეჭვებს ბადებდა და ალბათ ამიტომაც მიიღო ზომები სახელმწიფომ. იმედია, სახელმწიფომ უკეთესად იცის, ვიდრე ჩვენ. და თუ უდანაშაულოა, იმედი მაქვს, ამას სასამართლო დაადგენს. მით უმეტეს, საჰაერო გზით დაბრუნებას, თუ დამნაშავე იყო, ვერ გაბედავდა. წარმოუდგენელია, საპყრობილეში საკუთარი ფეხით მოსულიყო.

***– ჩვენ ხომ არ ვიცით, რა მიზნით დაბრუნდა? შეიძლება დავალება ჰქონდა, რომ დაბრუნებულიყო საქართველოში, ამას გამორიცხავთ?***

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუმცა, არა მგონია, საქართველოს შვილებმა, პანკისელმა ქისტებმა, რომელიმე მათგანმა, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რამე გააკეთოს. არა იმიტომ, რომ არ შეუძლიათ, არამედ იმიტომ, რომ მათი თვითშეგნება, დამოკიდებულება იმდენად სხვანაირია, რომ ისინი ამაზე არ წავლენ. ამაში ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული.

ამიტომაც ვარ უფრო ამ ახალგაზრდაშიც დარწმუნებული. არ არსებობს, რომ ის ცუდი განზრახვით ჩამოსულიყო, თუმცა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვალდებულია, თავი დაიზღვიოს, მაგრამ მე არ მჯერა, რომ პანკისელი ქისტი სამშობლოს წინააღმდეგ წავიდეს.

***– დღეს რა სიტუაციაა პანკისის ხეობაში?***

– ხეობაში ბოლო პერიოდში არ ვყოფილვარ, მაგრამ ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. ამ ბოლო დროს ნულამდე არის დაყვანილი ახალგაზრდების გადინება პანკისი ხეობიდან. ამიტომაც ვამბობდი, თავის დროზე სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა რომ ჰქონოდა, თავიდანვე შეიძლებოდა აღკვეთა ამ ახალგაზრდების წასვლის.

თურქეთში ვინც სამუშაოდ არის წასული და თუ იქიდან მოხდება მათი სირიაში გადასვლა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ხეობის მოსახლეობა თვითონ ამბობს, რომ ნულამდეა დაყვანილი ახალგაზრდების წასვლა სირიაში.

***– ეს სახელმწიფოს მუშაობის შედეგია თუ უხუცესების მუშაობის? რა ფაქტორმა იქონია გავლენა?***

– ალბათ უფრო კომპლექსური მუშაობის შედეგია. უხუცესები ყოველთვის მუშაობდნენ და მათ ჰქონდათ შეხვედრებიც ახალგაზრდებთან, მაგრამ მხოლოდ მათი ძალისხმევა შედეგს ვერ გამოიღებს, თუ არ იქნება სახელმწიფოს მიზანმიმართული მუშაობა. მხოლოდ უხუცესებს რომ შეძლებოდათ, ამას თავის დროზეც აღკვეთდნენ.

**არა მგონია, საქართველოს შვილებმა, პანკისელმა ქისტებმა, რომელიმე მათგანმა, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ რამე გააკეთოს. არა იმიტომ, რომ არ შეუძლიათ, არამედ იმიტომ, რომ მათი თვითშეგნება, დამოკიდებულება იმდენად სხვანაირია, რომ ისინი ამაზე არ წავლენ. ამაში ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული**

# საქართველოს საზღვრებთან ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებს აკავებენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო არ შედის ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს მთავარი სამიზნეების ნუსხაში. მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით, სარისკოა საქართველოს ადგილმდებარეობა. ქვეყნის ტერიტორია შეიძლება ტერორისტებმა დერეფნად გამოიყენონ. საქართველოდან შორს არაა სირია, რომ არაფერი ვთქვათ ჩრდილოეთ კავკასიაზე.

იქ განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს, რომ საქართველოს სიახლოვეს ისლამური სახელმწიფოს ბევრი მებრძოლია. სხვა დაჯგუფებების წევრებიც არიან. მათ წინააღმდეგ ტარდება კონტრტერორისტული ოპერაციები.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურატურის მონაცემებით, ისლამური სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქმედებებში მხილებულია 311 ჩეჩნეთის მცხოვრები. აქედან 292-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ჩეჩნეთის პროკურორი შარპუდინ აბდულ-კადიროვი არ აკონკრეტებს, რომელი მუხლით ედებათ ბრალი ჩეჩნეთის მოქალაქეებს და არიან თუ არა ისინი დაკავებული.

პროკურორის თქმით, იმ ზომების წყალობით, რომლებიც ჩეჩნეთში ტარდება, მოხერხდა სირიაში ახალგაზრდების გადინების მინიმიზირება.

სულ ისლამურ სახელმწიფოს 500 ჩეჩენი მიემხრო. 50 მათგანის ჩეჩნეთში დაბრუნება მოხერხდა. ხალიფატთან კავშირის ყოველი ფაქტი აღრიცხულია.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ტრადიციულად ხმაურიანი მორიგი სპეცოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ გაიმართა ნალჩიკთან. სამართალდამცავების ინფორმაციით, აქაური მებრძოლები დაკავებული იყვნენ სირიაში ისლამური სახელმწიფოს რიგებში ადგილობრივების გაგზავნით. გარდა ამისა, ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ჩრდილოეთ კავკასიაში მასობრივი თავშეყრის ადგილებში.

ამ სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია 11 მებრძოლი. ისინი ტყეში იყვნენ დაბანაკებული და ბლოკირებული რაიონის გარღვევას ცდილობდნენ.



არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, ერთი მოკლული, იური ბიცუევი, არ ყოფილა ისლამური სახელმწიფოს წევრი. იგი, უბრალოდ, გაქცეული იყო. მანამდე ლინჩის წესით გაასამართლეს მისი ტყუპისცალი. იური ბიცუევი ამ დროს კოლონიაში იხდიდა სასჯელს. რომ გათავისუფლდა, სახლიდან წავიდა.

საგულისხმოა, რომ ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების მხარდამჭერი საიტები არ ადასტურებენ, რომ ძალოვნების მიერ დახოცილები არიან ისლამური სახელმწიფოს წევრები.

კავკასიელი ექსპერტების განმარტებით, ყაბარდო-ბალყარეთში მოქმედებენ როგორც ისლამური სახელმწიფოს, ისე ადგილობრივი ტერორისტული ორგანიზაცია იმარატ კავკასიის მებრძოლები.

მათ შორის კონკურენციაა. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ნალჩიკში 10 ნოემბერს სპეცოპერაციის დროს გაანადგურეს ისლამური სახელმწიფოს ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერი რობერტ ზანკიშიევი.

მისი დაკავების ოპერაცია ნალჩიკის მრავალსართულიან სახლში ჩატარდა. ოპერაციამდე მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა. ზანკიშიევის ლიკვიდაციას კორპუსის კომუნიკაციები, ასევე ერთი მობინადრე ქალის ბინის რემონტი შეეწირა. სპეცოპერაცია სწორედ მისი ბინიდან მიმდინარეობდა. კომუნიკაციები მალე აღადგინეს, პარკეტაყრილი და დანგრეული ბინისათვის კი ტერორიზმთან მებრძოლმა ჩინოსნებმა ვერ მოიცალეს.

ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ტერორისტები, შესაძლოა, საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდანაც მოხვდნენ.

# პანკისში საპროტესტო აქცია გაიმართა

გუშინ, 23 ნოემბერს პანკისში საპროტესტო აქცია გაიმართა. ადგილობრივები 29 წლის დავით ბორჩაშვილის ადგილსამყოფელის დადგენას ითხოვენ.

ბორჩაშვილის ოჯახის ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში სა-



მუშაოდ თურქეთში იმყოფებოდა, გუშინ საქართველოში დაბრუნებისას სახელმწიფო საზღვარზე დააკავეს და რამდენიმე საათის შემდეგ უკან გააბრუნეს.

ბორჩაშვილის ოჯახი ვერ აკონკრეტებს, ის სირიაში იმყოფებოდა თუ არა. ოჯახი ამბობს, რომ დავით ბორჩაშვილი მძიმე ავადმყოფია და საქართველოში სამკურნალოდ ბრუნდებოდა.

ოჯახი დახმარებას სახელმწიფოს სთხოვს, რომ დავით ბორჩაშვილის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი მკურნალობა დროულად მოხდეს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ხიდაშელი: „რუსეთი საქართველოს 1991 წლიდან ეომება“

## „შეიძლება, ნატოს მე-5 მუხლს გამოცდის ჩაბარება მოუწიოს“

– როცა თქვენ ამბობთ, რუსეთის პროვოცირება, ეს არის ის, რაც ქართველებს არასდროს უნდა უთხრათ! – ასე უპასუხა თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ჰალიფაქსის უსაფრთხოების ფორუმზე მოდერატორს, რომელმაც 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის ერთ-ერთ შესაძლო გამომწვევ მიზეზად მოსკოვის მიზანმიმართული პროვოცირება ივარაუდა.

– იცოდეთ, ეს თქვენთვის დისკუსიის დასასრული იქნება, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისი თქმით, ყველა საუბრობს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე, რომ იგი 7 აგვისტოს დილით დაიწყო, მაგრამ ეს ომი დიდი ხნით ადრეა დაწყებული. ომის დაწყების საფუძველი 1991 წელია, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობის შესახებ განაცხადა და უარი თქვა მოსკოვის გავლენაზე.

– ამის შემდეგ ჩვენ სხვადასხვა ეტაპები გავიარეთ – 1991-1992-1994-1998 და 2008 იყო ერთ-ერთი ამ ეტაპებიდან, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ნატოს არსებობა უკვე საკმარისი საფუძველია რუსეთის პროვოცირებისთვის. ასევე, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, რომელიც უარს ამბობს რუსეთთან თანაცხოვრებაზე, რომელიც ამბობს, რომ მე გავაკეთე განსხვავებული არჩევანი – ეს უკვე საკმარისი საფუძველია რუსეთისთვის, რათა გააკეთოს ის, რასაც საქართველოში დღესაც აკეთებს.

– ჩვენ მუდმივად ომის რეჟიმში ვიყავით, ჩვენი დამოუკიდებლობის პირველი დღიდან. ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ მსხვერპლის მიუხედავად, განვაგრძობთ სვლას და არას ვეუბნებით ყველაფერს, რაც რუსეთის მიერ მშვიდობის სანაცვლოდ არის შემოთავაზებული, – აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ყველაფერს, რასაც სუვერენული საქართველო გააკეთებს და გადაწყვეტს, ხვალ, შესაძლოა, რუსეთის მხრიდან აღქმული იყოს, როგორც მორიგი ნაბიჯი მისი პროვოცირებისთვის. როგორც ხიდაშელმა აღნიშნა, საქართველოსა და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები, ყირიმის ანექსია დიდი ალბათობით დაასრულებს დისკურსს იმის შესახებ, რომ რუსეთის პროვოცირებას ხელოვნურად ცდილობენ.

– ყოველთვის, როცა ქართველები ამბობდნენ, რომ უკრაინა იქნება შემდეგი, დაგვცინოდნენ, გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვართ ხალხი აკვიატებული იდეებით, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისი თქმით, სამწუხაროდ, საქართველომ დაამტკიცა, რომ მართალი იყო.

* * *

რუსეთ-უკრაინის და რუსეთ-საქართველოს ომები, სირიაში შექმნილი ვითარება, ტერორიზმი და პრობლემების რუსეთთან ერთად გადაწყვეტის გზების ძიების მართებულობა ჰალიფაქსის უსაფრთხოების ფორუმზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.



აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა ფორუმზე მოწვეულ აუდიტორიას საკუთარი ხედვები გაუზიარა.

მინისტრის თქმით, თუ ცივილური სამყარო უკრაინაშიც დამარცხდება, მაშინ შემდეგი გამოწვევა უფრო დიდი, მტკივნეული და დამანგრეველი იქნება. როგორც ხიდაშელმა აღნიშნა, რუსეთი ევროპას გამოცდას მისთვის ყველაზე უხერხულ გეოგრაფიულ არეალში მოუწყობს.

– მათ ეს განახორციელეს ყველგან – პატარა თუ უფრო მოზრდილ ქვეყანაში ნატოს საზღვართან, უკრაინაში, მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ევროპის ცენტრში. თუ ვინმეს შეეძლო და ამბობდა, რომ საქართველო არ არის ასეთი ადგილი, რომ ის ევროპაც კი არ არის, დღეს რუსეთი უკვე აქ არის, ძალიან ახლოს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეზობლად, ნატოს მეზობლად.

თუ ჩვენ ყველანი იქ (უკრაინა, სირია), დავმარცხდებით, მაშინ რუსეთის შემდეგი ცდა იქნება უფრო მასშტაბური და დიდი – დარწმუნებული ვარ, ისინი მე-5 მუხლის ბარიერის გადაკვეთას ეცდებიან, რათა დაამტკიცონ, რომ მათ შეუძლიათ, გამოწვევა გამოგიგზავნონ ზუსტად იქ, კარის ზღურბლზე და დაელოდებიან თქვენს რეაქციას, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

იმის თქმა, რომ სირიის პრობლემის გადაჭრა მსოფლიოს რუსეთის გარეშე არ შეუძლია, როგორც ეს ბევრი ევროპელი ლიდერისგან ისმის, მოსკოვისთვის სუსტი და არასწორი მესიჯის გაგზავნის ტოლფასია, რომელიც პუტინს მხოლოდ აძლიერებს.

– ეს იქნება ღია მოსაწვევი რუსეთისთვის. კრემლში თქვენს ამ გზავნილს სხვაგვარად აღიქვამენ. თუ ისინი თქვენს ტერიტორიაზე გამოგიგზავნიან ამ გამოცდას, თქვენ ვერ შეძლებთ პასუხის გაცემას. იმიტომ, რომ თქვენ არ იქნებით საკმარისად კარგი და ძლიერები მარტო მათ გარეშე, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

**იმის თქმა, რომ სირიის პრობლემის გადაჭრა მსოფლიოს რუსეთის გარეშე არ შეუძლია, როგორც ეს ბევრი ევროპელი ლიდერისგან ისმის, მოსკოვისთვის სუსტი და არასწორი მესიჯის გაგზავნის ტოლფასია, რომელიც პუტინს მხოლოდ აძლიერებს**

# ემზარ კვიციანი: „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელების ტყვეობისგან თავისუფლდება“

## „რუსეთს რომ ვებრძოდი, ამიტომ ვარ პრორუსული?“

შორენა მარსაგიშვილი






ვისთან ერთად აპირებს ბრძოლას პატრიოტთა ალიანსი, რა აკრძალვებს აწესებენ ამერიკელები, რა მოხდება კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რა სიახლეების დანერგვას აპირებენ მოშიმშილეები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი ესაუბრება.

***– ჯანმრთელობის გაუარესების გამო თქვენ შიმშილობის შეწყვეტა მოგიწიათ. ახლა როგორ ხართ?***

– თავს გადასარევად ვგრძნობ. რადგან ამ ინტერვიუს გიორგობა დღეს ვიწერთ, ნება მომეცით, „ახალი თაობის“ საშუალებით ჩემს ქვეყანას და ხალხს ეს დიდი დღესასწაული მივულოცო. მწამს წმინდა გიორგის ძალის და მჯერა, რომ ყველაფერი ძალიან კარგად გვექნება. საუკუნეების მანძილზე წმინდა გიორგი გვედგა გვერდით და როცა ძალიან გვიჭირდა მტრის გამკლავება, ის ჩვენ გვერდით იბრძოდა. ახლა მტერი ხმლით აღარ გვებრძვის და ფულით და ათასი მამაძაღლობით ცდილობს ჩვენს დაპყრობას. დიდმოწამე გიორგი ისევ ჩვენ გვერდით დგას და ბრძოლის ფორმებსაც შეცვლის.

წმინდა გიორგის იმედი ნუ მიგვშლოდეს, მაგრამ ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ, რასაც აკეთებს კიდევაც პატრიოტთა ალიანსი. ბრძოლა მანამდე გაგრძელდება, სანამ საბოლოო გამარჯვებას არ მივაღწევთ. ვიღაცებს ტყუილად აქვთ იმის იმედი, რომ დავიღლებით, 26 ნოემბრიდან აქცია ახალი ძალით განახლდება. მეც გავაგრძელებ შიმშილობას.

***– სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ, აქცია მუსიკალურად უნდა გავაფორმოთო და ამას მართლა ამბობთ თუ სვანურად იხუმრეთ?***

– რა ვიხუმრე, მართლა ასე ვაპირებთ. ზოგი ფანდურს დაუკრავს, ზოგიც იმღერებს. ჩვენ პროტესტის სრულიად განსხვავებულ ფორმას ვამკვიდრებთ საქართველოში. ვნახავ მერე, როგორ გადმოგვხედავენ ვიღაცები ზემოდან.

***– ზემოდან ვინ გიყურებთ?***

– კანცელარიაში რომ სხედან და ჩვენთან ჩამოსვლა არ სურთ, ისინი ჩვენს აქციას ზემოდან, ფანჯრებიდან აკვირდებიან. აი ნახავთ, ადრე თუ გვიან, ჩვენთან მოვლენ. ვიღაცებმა უკვე გადმოდგეს ეს ნაბიჯი.

***– ვიღაცებში ვის გულისხმობთ, სოსო ჯაჭვლიანს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოინახულა მოშიმშილეები?***

– მარტო სოსოს რატომ? მოშიმშილეებთან ანი მიროტაძეც მოვიდა. მართალია, დეპუტატია, მაგრამ ძალიან კარგი გოგოა. დიდი მადლობა მას და სოსოს ამ მხარდაჭერისთვის. რატომღაც მეგონა, რომ სოსო უფრო ადრე მოვიდოდა ჩვენთან, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერ მოახერხა.

***– რა მიზეზების გამო დააგვიანდა?***

– ძალიან ცუდად ყოფილა, ჩაფიძის კლინიკაში გადაუყვანიათ თურმე და ჩვენთან როგორ მოვიდოდა. როგორც კი ფეხზე დადგა, ჩვენთან მოვიდა. ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატების გამოჩენა კარგის ნიშანია.

***– მოსვლით ჯერ მართალია არ მოსულან, მაგრამ პატრიოტთა ალიანსს გარკვეული მხარდაჭერა გამოუცხადეს თამაზ მეჭიაურმა და ნუკრი ქანთარიამ. ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ კი თქვენთან დიალოგის სურვილი გამოთქვა.***

– ყველა, ვინც თქვენ ახსენეთ, არის „ქართული ოცნების“ ნათელი წერტილი. ეს ადამიანები ხვდებიან, რომ ჩვენ სიმართლისთვის ვიბრძვით და ამიტომაც გვიჭერენ მხარს. რესპუბლიკელები რაც არ უნდა ეცადონ, მაინც არაფერი გამოუვათ. ცოტა ხანში ნახავთ, რომ მთელი „ქართული ოცნება“ ჩვენ მხარეს დადგება.

მე მაქვს ინფორმაციები, რომ ისინი ჩვენ თანაგვიგრძნობენ, მათაც მიაჩნიათ, რომ საგარეჯოში არჩევნები ჩვენ მოვიგეთ, უბრალოდ, ამის აღიარებას დრო სჭირდება. ჩემთვის მათი დამოკიდებულებაა მთავარი, რას ფიქრობენ რესპუბლიკელები, ეს ნაკლებად მაინტერესებს.

***– თქვენი თანამებრძოლებიც ასე ამბობენ რესპუბლიკელებზე, მაგრამ საკმარისია, იმათ რაიმე თქვან, რომ ყველანი კომენტარებს აკეთებთ.***

– აბა, უპასუხოდ ხომ არ დავტოვებთ, ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე და მათი ნამდვილი სახე გამოაჩინოს. შუალედურმა არჩევნებმა დაამტკიცა, რომ რესპუბლიკელები ნაციონალური მოძრაობის გზას ადგანან. არჩევნების გაყალბების ილეთებიც, ეტყობა, მაგათგან აქვთ ნასწავლი.

ცოტა ხნის წინ ლევან ბერძენიშვილმა თქვა, ჩვენი ამოცანაა, ნაციონალები ქვეყანაში სიძლიერით მეორე პარტია იყოსო. ამას რომ ადამიანი იტყვის, ის როგორ შეიძლება პოლიტიკაში დატოვო, ან რამეზე ხმა ამოაღებინო. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოიხადოს, გამოვიდა და რაღაცები დამამადლა.

***– პირადად თქვენ თუ ალიანსს?***

– პირადად მე.

***– რას გამადლით ბერძენიშვილი?***

– განუცხადებია, ეგ ჩვენ წინააღმდეგ როგორ გამოდის, ჩვენ ჩამოვიყვანეთ საქართველოში და ჩვენ ვაჩუქეთ თავისუფლებაო. საქართველოში მართლაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ჩამოვედი, მაგრამ ამაში რა წვლილი აქვს შეტანილი რესპუბლიკელებს?! იმედია, არ სჯერათ, რომ ხელისუფლება მათ შეცვალეს.

მე საქართველოში „ქართული ოცნების“ დახმარებით დავბრუნდი და არა – რესპუბლიკელების. და კიდევ იმას რატომ არ იხსენებს ბატონი რესპუბლიკელი, ციხეში რომ ჩამსვეს და 18 წელი მომისაჯეს. ხალხის პროტესტი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**კანცელარიასთან აქციები ტაშ-ფანდურის ფონზე გაიმართება**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ შევარდნაძის და სააკაშვილის გზით მიდის“

## „ჯარი შეიყვანა თინა ხიდაშელმა და ისე გააყალბა არჩევნები საგარეჯოში“

ნონა ცაბაძე







ოპოზიცია საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას ითხოვს. ამ მოთხოვნაში მთელი ოპოზიციური სპექტრი ერთიანია. თუმცა ხელისუფლება დათმობაზე წასვლას და კანონში ცვლილებების შეტანას არ გეგმავს. ხელისუფლება აცხადებს, რომ საარჩევნო კანონში ცვლილებები 2020 წლისთვის შევა.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა აცხადებს, რომ მაჟორიტარული სისტემის დატოვების შემთხვევაში, საერთოდ აზრი არ აქვს არჩევნებს.

***– რატომ არ აქვს აზრი?***

– დავუშვათ, „ქართული ოცნების“ რეიტინგია 20% და აიღო პროპორციული სისტემით ხმების 20%, ხოლო მაჟორიტარული სისტემით მოიგო ყველა მანდატი, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ პარლამენტში ის მიიღებს უმრავლესობას და დარჩება ხელისუფლებაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 80% ამბობს, რომ არ უნდა „ოცნება“. ასეთ შემთხვევაში არჩევნებს აზრი საერთოდ ეკარგება.

***– როგორ მოიგებს ყველა მაჟორიტარულ ოლქს, თუკი 80% არ დაუჭერს მხარს?***

– ამის მაგალითები ჩვენ ძალიან კარგად ვნახეთ „ოცნების“ დროსაც და ნაციონალების დროსაც. 2014 წლის არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ თბილისში მიიღო 50%, მაგრამ მოიგო 25-დან 24 მაჟორიტარული ოლქი. ზუსტად იგივე მოხდა ნაცების დროს, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, როდესაც მათ მოიგეს 75-დან 71 მაჟორიტარული ოლქი. თითქმის 100%.

***– რას ითხოვთ?***

– ჩვენ ვითხოვთ ამ მანკიერი სისტემის გაუქმებას. თუ „ოცნებას“ მხარს უჭერს ამომრჩევლის 20%, მაშინ მას უნდა ჰქონდეს მანდატების 20%. ხოლო თუ მხარს უჭერს 20% და აიღებს მანდატების 60-70%-ს, ეს არის ანტიკონსტიტუციური გადატრიალება, ეს არის ხელისუფლების უზურპაცია! საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების დამხობა არის ხალხის კონსტიტუციური უფლება.

***– ანუ ხელისუფლებას დაბალი რეიტინგი აქვს და ამიტომ ეშინია ცვლილებების?***

– რა თქმა უნდა. მათ ძალიან კარგად იციან, რომ „ოცნების“ რეიტინგი არის კატასტროფულ ზღვარზე. პროპორციული სისტემით ისინი ვერ მოახერხებენ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვებას. აქედან გამომდინარე, მათ სურთ მაჟორიტარული სისტემის გამოყენება. მაჟორიტარული სისტემით უმრავლესობის მოპოვება.

ასე ჩამოაყალიბა შევარდნაძემ თავისი საპარლამენტო უმრავლესობა, ასე ჩამოაყალიბა სააკაშვილმა და იგივეს აკეთებს „ოცნებაც“. ზუსტად იმ გზაზე მიდის, რაც შევარდნაძემ და სააკაშვილმა გატკეპნეს უკვე. ამ გზით კი ზუსტად იქ მივა, სადაც შევარდნაძე და სააკაშვილი მივიდნენ.

***– რატომ ეწინააღმდეგებით მაჟორიტარულ სისტემას? ხომ არის სახელმწიფოები, სადაც მთლიანად მაჟორიტარული სისტემა მოქმედებს და ეს ბევრს მოსწონს?***

– ძალიან კარგი კითხვაა. იმ ქვეყნებში, სადაც არის მაჟორიტარული სისტემა, მოქმედებს ორპარტიული ან სამპარტიული საარჩევნო სისტემა და ჯამში, ეს არ იძლევა იმ პროპორციას, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ.

ყველაზე ხშირად მოჰყავთ აშშ-ის მაგალითი. იქ მთელი პარლამენტი, ზედა პალატაც და ქვედაც, აირჩევა მაჟორიტარული სისტემით, მაგრამ ამერიკაში თუ რესპუბლიკური პარტია იღებს ხმების 40%-ს, ის მიიღებს მანდატების ან 35%-ს, ან 45%-ს. იქ პრეზიდენტიც მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. როდესაც არის ორი პარტია, რომლებიც დაახლოებით თანაბრად აგროვებენ ხმებს, იქ ეს ფორმულა გამართლებულია.

***– ევროპის ქვეყნებზე რას იტყვით?***

– ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც არის მრავალპარტიულობა, მოქმედებს პროპორციული სისტემა, ზუსტად იმის გამო, რომ ხმები არ დაიკარგოს. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ამერიკაში მოქმედებს მაჟორიტარული სისტემა და ინგლისში, იქვე უნდა დააყოლონ, რომ იქ ორ და სამპარტიული სისტემაა და ეს საკითხი ამით არის დაბალანსებული.

***– ანუ ეს ჩვენთან შეუძლებელია?***

– შეუძლებელია. რადგან ჩვენთან მრავალპარტიული სისტემაა. შეიძლება ოპოზიციურმა პარტიამ არჩევნებზე მიიღოს 10-15% და 1 მაჟორიტარული ოლქიც ვერ მოიგოს. ეს ხომ დაგვანახა ბოლო რამდენიმე არჩევნებმა?! ჩვენთან მაჟორიტარული არჩევნები არის სახელისუფლო მონოპოლია და არ ნაწილდება.

***– აცხადებთ, რომ „ოცნებამ“ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა და კანონიერი იქნება ხალხის მიერ მათი დამხობაო. ამას როგორ აპირებთ? შიმშილობდა ინაშვილის პარტია, მაგრამ ხელისუფლება ამას არ აუღელვებია.***

– როდესაც დამხობაზე ვსაუბრობდი, მე მოვიყვანე საერთაშორისო

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**გვქონდა შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან და ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ლეიბორისტული პარტიისა და პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები, რომლებიც ორი კვირის წინ ერთმანეთს იუდას და მოღალატეს ეძახდნენ**

# ემზარ კვიციანი: „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელების ტყვეობისგან თავისუფლდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რომ არა, დღესაც ციხეში ვიქნებოდი.

დამადლებაზე თუ არის საქმე, ბიძინა ივანიშვილს უმადლოდნენ რესპუბლიკელები, ახლა ხმას რომ იღებენ. მისი გამოჩენა რომ არა, თავიანთი 2%-ით ისხდებოდნენ მიყუჟულად. ივანიშვილი კოალიციაში მათ შეყვანას უკვე ნანობს. მთელ კოალიციას თავზე დაასხდნენ, თავი დასავლურ ძალად მოაქვთ და სინამდვილეში პრორუსულები არიან.

***– პრორუსულ ორიენტაციაში თქვენ გადანაშაულებთ თინა ხიდაშელი.***

– არც ქალბატონი თინა და არც მისი მეუღლე, ბატონი დავითი, პატარები აღარ არიან, რომ ასეთი განცხადებები გააკეთონ. ადამიანზე რომ პრორუსულობა თქვა, ამის მიზეზი ხომ უნდა გქონდეს. მაინტერესებს, რის საფუძველზე მაბრალებს მე ხიდაშელი პრორუსულობას? რუსეთს რომ ვებრძოდი, ამიტომ ვარ პრორუსული? სადმე გინახავთ ჩემი განცხადება, სადაც რუსეთს ვაქებ? ასეთს ვერსად მონახავთ.

***– რუსეთს არც რესპუბლიკელები აქებენ.***

– ჰოდა, მანდაა ძაღლის თავი დამარხული. მთელი თავისი ცხოვრება სარუსეთო საქმეებს აკეთებდნენ. ახლა მათი დავალებით ცდილობენ ნაციონალების გადარჩენას. ნაცმოძრაობა კი სუფთა რუსული ძალაა. აბა დააკვირდით, მათ გარდა ჩვენ არავინ გვლანძღავს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ვერ გვიტანს. რუსეთის გარდა, დასავლეთიც, განსაკუთრებით, ამერიკა არ გვწყალობს.

***– ისინი რაღას გერჩიან?***

– იმას, რომ ჩვენ ვართ სუფთა და ქართული ძალა. ასეთი ძალის გამოჩენა არც რუსეთს და არც ამერიკას აწყობს. ამერიკისთვის განსაკუთრებით მიუღებელი ვარ მე. მათ იციან, რომ მე კარგად ვიცი, რა შავბნელი საქმეები აქვთ მაგათ გაკეთებული რუსეთთან ერთად. აფხაზეთის და სამაჩაბლოს ჩაბარება ამ ორი ქვეყნის შეთანხმებით მოხდა. ამის გახმაურება არავის უნდა. მე ბევრი დეტალი ჯერ კიდევ არ გამიმხელია, ამიტომაც ვერ მიტანენ. მეტსაც გეტყვით, აშშ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩემთან ურთიერთობას უკრძალავს.

***– რას ჰქვია უკრძალავს?***

– ცოტა ხნის წინ ხელისუფლების ერთ-ერთ წარმომადგენელს შევხვდი. ვისაუბრეთ და დავშორდით. შეხვედრიდან რამდენიმე საათში დაიბარეს და უთხრეს, რომ აღარ შემხვედროდა. იმ ადამიანის სახელსა და გვარს არ დავასახელებ, არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო.

ჩემ მიმართ აშშ უარყოფითად რომ არის განწყობილი, ამაზე სახალხო დამცველის საქციელიც მეტყველებს. უჩა ნანუაშვილი ამერიკის მითითებების შემსრულებელია. კანცელარიასთან აქციაზე ის მხოლოდ შიმშილობის მე-13 დღეს მივიდა. ისიც მაშინ, როცა მე საავადმყოფოში ვიყავი გადაყვანილი. ჩემი მონახულება მასაც აკრძალული აქვს.

ასეთი წვრილმანებით ვერც მე და ვერც პატრიოტთა ალიანსს ვერ შეგვაშინებენ. მიზანს თითქმის უკვე მივაღწიეთ.

***– რა მიზანს მიაღწიეთ?***

– „ქართული ოცნება“ ნელ-ნელა თავისუფლდება რესპუბლიკელების ტყვეობისგან.

***– რატომ გგონიათ, რომ მათ ტყვეობაში იყვნენ?***

– აქამდე მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც რესპუბლიკელებს სურდათ. მათი შიშით, განსხვავებულ აზრს არავინ აფიქსირებდა. ახლა ვითარება შეიცვალა, კოალიცია უკვე სხვანაირად ფიქრობს.

***– კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი კახა კალაძე დიალოგის გზით გთავაზობთ პრობლემის მოგვარებას. წახვალთ მასთან დიალოგზე?***

– დიალოგს იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ შედეგით დასრულდება. შედეგი აუცილებლად იქნება. ისეთ საპროტესტო აქციებს ვაპირებთ, ყველა ჩვენ შემოგვიერთდება. ჩვენი მხარდამჭერები რეგიონებშიც შიმშილობენ. ყველანი თბილისში ჩამოვლენ და ერთად ვიშიმშილებთ.

***– დაახლოებით რამდენი ადამიანის შიმშილობა იგეგმება?***

– 120 კაცამდე შევიკრიბებით. ასეთ მასშტაბურ შიმშილობას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, საღამოობით კი ტაშ-ფანდურსაც გავმართავთ.

***– ეს ტაშ-ფანდური მაინც თქვენი მოგონილი ხუმრობა მგონია.***

– კანცელარიიდან სიმღერას რომ გაიგონებთ, მერე ხომ დაიჯერებთ. კაი სიმღერა საპროტესტო აქციასაც უხდება.

***– ტაშ-ფანდურით აპირებთ ხალხის მოზიდვას?***

– ხალხს დემოკრატიული ღირებულებების დაცვით მოვიზიდავთ. პატრიოტთა ალიანსის კარი ყველა პატრიოტისთვის ღიაა. ჩვენს ბრძოლას ყველა პოლიტიკური სუბიექტი შემოუერთდება.

***– ამაში დარწმუნებული ხართ?***

– ზედმეტადაც კი ვარ დარწმუნებული. წინ საპარლამენტო არჩევნებია და ყველას სურს საკუთარი ხმების დაცვა. ერთად თუ არ დავდგებით, შესაძლოა, იგივე მოხდეს, რასაც საგარეჯოში ჰქონდა ადგილი. ერთად დგომით ხელისუფლებას საარჩევნო კანონმდებლობას შევაცვლევინებთ და ხმებსაც დავიცავთ.

იმისთვის, რომ ვინმემ არ გვიღალატოს, პარტიებმა ერთგულების ფიცი უნდა დავდოთ. დევიზი ასეთი უნდა გვქონდეს: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. ვისაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარება სურს, ჩვენ გვერდით უნდა დადგეს,

***– ნაციონალები და რესპუბლიკელებიც ამბობენ, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება სურთ. მათ თუ დაიყენებთ გვერდით?***

– მეეჭვება, რომ მათ დემოკრატიული არჩევნები აწყობდეთ, მაგრამ პატრიოტები ამ ორ ძალაშიც არიან. ადრე თუ გვიან, მათაც გაეხსნებათ გონება, დატოვებენ ამ პარტიებს და ჩვენს რიგებში მათ დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

# საბერძნეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 150.000-მდე მოქალაქე იმყოფება



სულ ახლახან საბერძნეთმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

როგორია ბერძნული მხარის დამოკიდებულება საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით და რა პერსპექტივები აქვს საქართველოსა და საბერძნეთის სამომავლო ურთიერთობებს, ამ საკითხებზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში – იოსებ ნანობაშვილი საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ ესაუბრა:

***– როგორია ბერძნების დამოკიდებულება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ? და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ხომ არ უყურებენ ამას სკეპტიკურად?***

– ბერძნულ საზოგადოებას მყარად სწამს, რომ ევროკავშირის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. ამასთან, საბერძნეთი რჩება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მტკიცე მხარდამჭერად. ერთიანი ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც ჩვენს ქვეყნებს მოკავშირეებად აქცევს.

***– როგორია ამჟამად ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა? რომელ სფეროებშია თანამშრომლობის განვითარება შესაძლებელი?***

– ვფიქრობ, ორ ქვეყანას შორის ამჟამად არსებული სავაჭრო ბრუნვის მოცულობა არ შეესაბამება საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის ჭეშმარიტად განსაკუთრებულ და მეგობრულ ურთიერთობებს. ამ შეუსაბამობას ორივე მხარე სრულად აცნობიერებს და მზად არის აქტიურად იმუშაოს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უკვე გადადგა – მიმდინარე კვირას, ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხებზე, საბერძნეთის ეკონომიკის, განვითარებისა და ტურიზმის სამინისტროში, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებული ოფიციალური შეხვედრების პარალელურად, ა.წ. 10 ნოემბერს, საქართველოს საელჩომ ორგანიზება გაუკეთა საქართველოს ეკონომიკის სფეროში გატარებული რეფორმების, საინვესტიციო-სამეწარმეო შესაძლებლობების, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ბიზ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „მალე დადგება თქვენი თავების დაჭრის დროც“

## ისლამური სახელმწიფო ქართველ ხალხს ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა გუშინ, 23 ნოემბერს, საქართველოს მიმართ მორიგი მიმართვა გაავრცელეს. მუქარის შემცველი მიმართვა საიტზე სენდვიდ.კომ გავრცელდა.

ვიდეორგოლში ოთხი მებრძოლი ჩანს, რომელთაგან მხოლოდ ორი მეტყველებს და საქართველოს მოქალაქე მუსლიმებს მოუწოდებს, ე.წ ხალიფატს შეუერთდნენ.

სავარაუდოდ აჭარის რეგიონიდან სირიაში წასული ქართველი მუსლიმები ვიდეოში აცხადებენ, რომ „ღმერთის წყალობით სულ მალე დადგება ის დრო, როცა ყველას, ვინც ისლამის წინააღმდეგ იბრძვის, თავებს დააჭრიან“.

— მინდა მივმართო საქართველოს ურწმუნოებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ისლამს ებრძვიან, რომლებსაც დიდი მონაწილეობა აქვთ მიღებული ისლამის საწინააღმდეგოდ, ეს იქნება ერაყში, ეს იქნება ავღანეთში... აუცილებლად ყველა თქვენი ცუდი ნამოქმედარი უფრო შემაწუხებელი იქნება გაცილებით თქვენთვის. ყველა თქვენი ნამოქმედარით განისჯებით ღმერთის კანონით. შეგახსენებთ, რომ გონს მოუხმოთ და შეეშვათ მუსლიმანების დევნას. ყველა თქვენი ნამოქმედარისთვის პასუხს აგებთ, — აცხადებს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლი.

მეორე მებრძოლი საქართველოს ღმერთის სახელით დასჯით ემუქრება.

— დადგება სულ მალე ღმერთის წყალობით თქვენი თავების დაჭრის დროც. თქვენ თვლით, რომ ძალიან შორს ვართ საქართველოდან და ხალიფატი საქართველომდე ვერ მოაღწევს, თუმცა უნდა შეგახსენოთ ის პერიოდი, როდესაც საქართველოში იყო ხალიფატი. იმ პერიოდის ქართველები გაცილებით მეტი ვაჟკაცი ხალხი იყვნენ, ვიდრე დღევანდელი საქართველოს მაცხოვრებელი ისლამის მტრები, რომლებიც დღეს მართავენ სახელმწიფოს და ებრძვიან ისლამურ სახელმწიფოს და მუსლიმანებს. ზუსტად მინდა შეგახსენოთ, ეს დრო ძალიან მალე მოვა, ღმერთის კანონით განგსჯით და დაგსჯით, — ვისმენთ ვიდეომიმართვაში.

* * *

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ისლამური სახელმწიფოს სახელით საქართველოს ემუქრებიან. თუმცა ადრე მუქარის შემცველი ტექსტებით ცალკეული პირები გამოდიოდნენ. ახლა კი ერთდროულად 4 მებრძოლი გვემუქრება.

ძველ მუქარებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი. 23 ნოემბერს გავრცელებულმა მიმართვამ ისიც შეაშფოთა.



— აქამდე ვამბობდი, რომ ვიდეომიმართვებს თავის დამკვიდრების მიზნით აკეთებდნენ და მართლაც ასე იყო. ამჯერად ბევრად სერიოზულად არის საქმე. 4 მებრძოლი ასე ვერ დაჯდებოდა და ისლამური სახელმწიფოს სახელით განცხადებას ვერ გაავრცელებდა. იქ მკაცრად არის განსაზღვრული იერარქია. ეს მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ყველაფერი ზევით არის გადაწყვეტილი, — აღნიშნავს „ახალ თაობასთან“ საუბარში ზაალ კასრელიშვილი.

ის საქართველოს მოსახლეობას და ხელისუფლებას სიფრთხილისკენ მოუწოდებს. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას ურჩევს აისაფის მისიაში მყოფ ქართველ სამხედროებს.

— მათ შემთხვევით არ უხსენებიათ ავღანეთი და ერაყი, არაა გამორიცხული, იქ რამე იგეგმებოდეს. კარგად მახსოვს ავღანეთთან დაკავშირებით გავრცელებული მიმართვა, რომლის შემდეგაც მოხდა ტერაქტი და ქართველი სამხედროები დაიღუპნენ. საქმე სერიოზულად არის და, იმედია, ყველა გამოიჩენს სიფრთხილეს, — აღნიშნავს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი.

* * *

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მიმართა გარკვეულ ზომებს და 23 ნოემბერს გავრცებულ ვიდეომიმართვასთან დაკავშირებით სუსმა გამოძიება დაიწყო.

* * *

ისლამური სახელმწიფოს სახელით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ერთ-ერთი მებრძოლი ხვიჩა გობაძეა. ინტერპრესნიუსი ხვიჩა გობაძის მამას, ილია გობაძეს დაუკავშირდა.

ილია გობაძის ინფორმაციით, მას აღნიშნული ვიდეომიმართვა არ უნახავს, თუმცა აცხადებს, რომ მისი შვილი საქართველოში არ იმყოფება.

— ჩემი შვილი დაახლოებით ორი თვის წინ მეგობრებთან ერთად წავიდა თურქეთში სამუშაოდ. მას შემდეგ რამდენჯერმე მქონდა კონტაქტი, თუმცა საქართველოში არც ერთხელ არ ჩამოსულა. მე არ ვიცი, ამჟამად სად იმყოფება. არ ვიცი, რა მუქარის გზავნილებია, ინტერნეტი არ მაქვს და არაფერი მინახავს, მაგრამ აქ რომ არ არის ჩემი შვილი, ეგ ვიცი, — განაცხადა ილია გობაძემ.

მისი თქმით, ამ ვიდეოთი პანიკას თესავენ რომ ხალხი შეაშინონ, არავინ არ მოვა და არ აგვაფეთქებს

ილია გობაძე ამბობს, რომ საქართველოს არ უნდა ეშინოდეს ოთხი კაცის მუქარის, რადგან ამერიკა ჰყავს მხარდამჭერი, რუსეთი კი მისი მეზობელია.

— ოთხი კაცის დამუქრების რა აშინებს ამ სახელმწიფოს მაშინ, როცა ამერიკა გვერდში უდგას და რუსეთი მეზობელია. რადიკალური შეხედულებებით არ გამოირჩეოდა ჩემი შვილი, ის ფუნდამენტური ისლამის მიმდევარია, იმ ისლამის მიმდევარია, რომელიც მუჰამედ შუამავალმა დატოვა, — აღნიშნა ილია გობაძემ.

ის ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხსა და ღორის თავის სამლოცველოს კარზე მიმაგრების საკითხსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საქართველოში მუსლიმები ვერ ცხოვრობენ ისე, როგორც ისლამის კანონებით ევალებათ.

— მუსლიმანი ვერ ცხოვრობს ისლამის მიხედვით. ღმერთმა კაცობრიობას გამოუგზავნა კანონები, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყნად და როგორ მოვიგოთ ღმერთის გული და დავმკვიდრდეთ სამოთხეში.

ტერორიზმი არის ძალადობა, კაცის მოკვლა არ შეიძლება, მაგრამ მუსლიმანს ღმერთმა მისცა უფლება, თუ გებრძვიან შენი რელიგიის, ქონების და სამშობლოს გამო, შეგიძლია იბრძოლო.

ჩვენ არ გვებრძვიან, მაგრამ აგერ მეჩეთს არ გვაშენებინებენ, ღორის თავი მიაკრეს სამლოცველოს. ეს არ ამართლებს ჩემი შვილის გადაწყვეტილებას, მაგრამ მე ვამბობ ჩემს სატკივარს, — აღნიშნა ილია გობაძემ.

* * *

ხვიჩა გობაძე 1993 წელს დაიბადა. ის ჯერ სოფელ დიდ აჭარაში სწავლობდა, სადაც საჯარო სკოლა დაამთავრა, მოგვიანებით კი სწავლა ბათუმში, მედრესეში გააგრძელა.

როგორც ილია გობაძე აცხადებს, ბათუმში სწავლის დამთავრების შემდეგ მისი შვილი ეგვიპტეში სწავლობდა, სადაც ხვიჩა არაბული ენის შესწავლით იყო დაკავებული.

ამბები.გე-ს ინფორმაციით, მამა-შვილ გობაძეებს სოფელ დიდი აჭარის მოსახლეობა იცნობენ, როგორც ვაჰაბიტებს (ისლამის ყველაზე რადიკალური ფრთა). მათი თქმით, მამა-შვილი მიიჩნევს, რომ ჩაგრულები არიან, რადგან არ შეუძლიათ მეჩეთის აშენება და სრულყოფილად ლოცვის საშუალება არ ეძლევათ საკუთარ ქვეყანაში.

მამა-შვილს პოლიციაში ხშირად იბარებდნენ.

ილია გობაძე ამჟამად მშენებლობაზე მუშაობს. მის შვილს, ხვიჩა გობაძეს საქართველოში ყოფნის დროს არასდროს უმუშავია.

არც ხვიჩა გობაძე და არც ილია გობაძე ნასამართლევი არ არიან.

* * *

გუშინ საღამოს კურიერმა იმ ოთხივე პირის ვინაობა დაადგინა, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს სახელით ქართველებს ემუქრებიან.

ვიდეოში, ხვიჩა გობაძის გარდა, აღბეჭდილი არიან რობიკო პაქსაძე, ბადრი ირემაძე და მამუკა ანთაძე. პაქსაძე, ირემაძე და ანთაძე ოზურგეთის რაიონიდან არიან. ისინი აჭარელი ეკომიგრანტების სტატუსით გურიაში რამდენიმე წლის წინ ჩაასახლეს.

ისლამის მიმდევრების მშობლები აცხადებენ, რომ შვილებთან კონტაქტი არ აქვთ და არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, როგორ მოხვდნენ ისინი ისლამურ სახელმწიფოში.

მუქარის შემცველ ვიდეოს პანკისის უხუცესიც გამოეხმაურა.

ხასო ხანგოშვილი აცხადებს, რომ ვიდეომიმართვა ხალხის დასაშინებლად ჩაიწერა.

ვიდეოში სერიოზულ საფრთხეებს ვერ ხედავს ვერც მისი შვილი, ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი.

# საბერძნეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 150.000-მდე მოქალაქე იმყოფება

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ნესის სტიმულირების ინიციატივების პრეზენტაციას. ღონისძიებას, რომელსაც საბერძნეთის წამყვანი ტელევიზიები ფართოდ აშუქებდნენ, 40-მდე გავლენიანი ბერძენი ბიზნესმენი და სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანების ცნობილი წარმომადგენელი დაესწრო. ჩვენმა ინიციატივამ გამოკვეთა მხარეებს შორის თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები. შესაბამისად, ათენის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, ვიწყებთ მზადებას საბერძნეთის წარმომადგენლობითი ბიზნეს-დელეგაციის საქართველოში ვიზიტის მოსამზადებლად. თანამშრომლობის შესაძლო სფეროებს შორის დავასახელებდი ტურიზმსა და სასტუმროების მშენებლობას, ტრანსპორტის სფეროს, აქცენტით საქართველოსა და საბერძნეთს შორის საჰაერო ტრანსპორტირების შესაძლებლობების გაფართოებაზე, სოფლის მეურნეობას, საზღვაო-სატრანსპორტო გადაზიდვებს და სხვა.

***— საბერძნეთში დიდია ქართული დიასპორა, მათ რა როლის შესრულება შეუძლიათ?***

— საბერძნეთში, არაოფიციალური მონაცემებით, 150 000-მდე ჩვენი თანამემამულე იმყოფება. ჩვენი დაკვირვებით, სამწუხაროდ, მრავალი მათგანი მართლაც არ ფლობს საბერძნეთში ლეგალურად ყოფნისათვის საჭირო დოკუმენტაციას. ყველა იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც უკავშირდება ჩვენი თანამემამულეების სტატუსს საბერძნეთში, მხარეები ნაყოფიერად და ინტენსიურად თანამშრომლობენ, ახდენენ დროულ და ოპერატიულ რეაგირებას კონკრეტულ ფაქტებზე და ქმნიან ხანგრძლივი დროითი თანამშრომლობის დღის წესრიგს. საელჩო აქტიურად თანამშრომლობს საბერძნეთში დაფუძნებულ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან, რომლებიც კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ატარებენ რიგ ღონისძიებებს, აქვთ საკვირაო სკოლები და ბაღები, კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო-სამკურნალო ცენტრები. საელჩო, კომპეტენციის ფარგლებში, ცდილობს ხელი შეუწყოს მსგავსი ორგანიზაციების ფუნქციონირებას. საქართველოს საელჩო და საკონსულო საბერძნეთში ლეგალურად და არალეგალურად მყოფ ქართველ მოქალაქეებს ყველა საჭირო სამსახურს უწევს. საელჩო უზრუნველყოფს, რომ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს რეგულარული შეხვედრები ჰქონდეთ საქართველოს ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც საბერძნეთს სტუმრობენ.

***— ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ რა სფეროებს გამოყოფდით?***

— მიმდინარე ეტაპზე, ქართულ მხარეს საბერძნეთთან ურთიერთობებში საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი გააჩნია. პრიორიტეტულ საკითხებს შორის დავასახელებდი ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდის მომზადებას, მაღალი დონის ვიზიტების გაცვლას, საბერძნეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამის დაწყებას, ბერძენ ბიზნესმენთა სავაჭრო მისიის საქართველოში ვიზიტის მომზადებას, საბერძნეთის მიერ, საქართველოს შესაბამისი უწყებების აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტების ნამდვილობის ცნობას და სხვა.

**საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი**
**მარიამ ჩუბინიძე**

# კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ შევარდნაძის და სააკაშვილის გზით მიდის“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სამართლის ნორმა. რატომ მოხდა 2003 წელს ე.წ. ვარდების რევოლუცია?! და რატომ გაამართლა ის დასავლეთმა?! იმიტომ, რომ ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს, ხოლო ხელისუფლებები უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით. ვინც მოიგებს არჩევნებს, მან უნდა გამოსცეს კანონები. თუკი ამ პრინციპიდან დაირღვევა ის მთავარი კომპონენტი, რომ ხელისუფლება აღარ იცვლება არჩევნების გზით და ხელისუფლება უარს ამბობს, ხელისუფლება გადააბაროს გამარჯვებულ პარტიას...

***— ასეთ შემთხვევაში?***

— ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობასაც ეკარგება ვალდებულება, დაემორჩილოს ასეთ ხელისუფლებას და მის მიერ გამოცემულ კანონებს.

იმ წუთიდან, როცა შევარდნაძემ თქვა, წავაგე არჩევნები, მაგრამ არ ვაპირებ გადადგომასო, მას მიუთითეს კარისკენ. იგივე მოხდა სააკაშვილის შემთხვევაშიც. ეს უნდა გაითვალისწინოს „ოცნებამაც“, რომ თუ მათ მიიღეს ხმების 20-25% და მაჟორიტარების ხარჯზე შეეცადნენ ხელისუფლებაში დარჩენას, ავტომატურად დგება დღის წესრიგში, რომ ხალხი გამოვიდეს ქუჩაში, მოაწყოს სამთავრობო შენობების პიკეტირება, დააკავოს ბიძინა ივანიშვილი სადღაც ქუჩაში, ესროლონ კვერცხები და პომიდვრები და ასე შემდეგ.

***— ეს კონსტიტუციური იქნება?***

— იმ წუთიდან, როცა ხალხი ჩათვლის, რომ ჩვენ მოვიგეთ არჩევნები და ამ არჩევნების შედეგებს აზრი არა აქვს, დღის წესრიგში დგება და ლეგიტიმური ხდება უკვე პოლიტიკური ბრძოლის არაკონსტიტუციური საშუალებები.

***— შეძლებს არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებას ამ საკითხებში?***

— მე უკვე ვხედავ გარკვეულ ნიშნებს ამისას. დღევანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს 2007 წელს.

***— რითი ჰგავს?***

— 2007 წელსაც, არც ერთი ანალიტიკოსი, არც ერთი ექსპერტი არ აკეთებდა პროგნოზს, რომ მოხდებოდა ოპოზიციის გაერთიანება, რადგან ოპოზიციაში იყო სერიოზული წინააღმდეგობები.

დღესაც ოპოზიცია არის იმდენად მრავალფეროვანი, რომ რთულია, წარმოიდგინო ამ პოლიტიკური ძალების ერთობა, მაგრამ როგორც მაშინ, ოპოზიცია გააერთიანეს სააკაშვილმა და ბოკერიამ, დღესაც ამ მრავალფეროვან ოპოზიციას აერთიანებს ხელისუფლება ზუსტად იგივე პოლიტიკით, როდესაც იგნორირებას უკეთებს ოპოზიციას და ცინიკური დამოკიდებულება აქვს მის მიმართ.

***— ანუ შესაძლებელია, ოპოზიცია გაერთიანდეს „ოცნების“ წინააღმდეგ?***

— დიახ. გასულ კვირას ჩვენ გვქონდა შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან და ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ლეიბორისტული პარტიისა და პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენლები, რომლებიც ორი კვირის წინ ერთმანეთს იუდას და მოღალატეს ეძახდნენ. დღეს კი ყველა ხედავს, რაც ხდება.

***— ასეთი რა ხდება?***

— თუნდაც იგივე პატრიოტთა ალიანსს რომ ეგონა, ხელისუფლებასთან კონსტრუქციული და კეთილგანწყობილი ურთიერთობები მაქვსო, ხელისუფლებამ აჩვენა, რომ მეგობარიც და მტერიც ორივე ფეხებზე კიდია! როცა დასჭირდათ, ჯარი შეიყვანა თინა ხიდაშელმა და ისე გააყალბა არჩევნები საგარეჯოში. როგორი მძაფრი წინააღმდეგობებიც არ უნდა იყოს ოპოზიციაში, თუ ამ ხელისუფლებას კისერი არ მოვუგრიხეთ, ვერც ერთი ოპოზიციური პარტია ვერ გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოში.

***— ახალი ოპოზიციური ლიდერები იკვეთებიან ქართულ პოლიტიკურ ველში. არის შანსი, რომ პაატა ბურჭულაძე გახდეს ასეთი ლიდერი და მის გარშემო გაერთიანდეს ოპოზიცია?***

— ძალიან დიდი კითხვის ნიშნებია. თვითონ პაატა ბურჭულაძეს აქვს ძალიან დიდი რეიტინგი, ძალიან კარგი სახეა.

***— აბა, კითხვის ნიშნებს რა იწვევს?***

— კითხვის ნიშნებს იწვევს ის, რომ პოლიტიკაში, შენი სახის გარდა, მთავარია პოლიტიკური გუნდი, პოლიტიკური პროგრამა. რას აპირებს, რისთვის მოდის. პაატა ბურჭულაძეს ცოტა გაურთულა საქმე ბიძინა ივანიშვილმა და მისი მოჭიდავეებისა და არტისტების გუნდმა. მოდით, ხელისუფლებაში მოვიდეს აპოლიტიკური ხალხი — ეს განწყობა დღეს დისკრედიტებულია.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# „მარგი“ – კალორიების შემცირების და ჯანმრთელობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება

## კალორაჟის შეზღუდვის დროს აუცილებლად გაითვალისწინეთ ყოველდღიურ კვების რაციონში მცენარეული ბოჭკოებისა და ცილების რაოდენობა

საკვები რაციონის კალორაჟის შემცირება მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მეტად აქტუალური გახდა. მსურველი ბევრია, თუმცა ასეთ მცდელობებს არაიშვიათად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოსდევს.

რატომ და როგორ შევამციროთ კალორაჟი ისე, რომ გავიუმჯობესოთ და არ გავიუარესოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ექიმი გასტროენტეროლოგი გელა სულაბერიძე.

***– ბატონო გელა, თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ დღეისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებების გახშირების ძირითადი მიზეზი საკვების მაღალი კალორაჟი და მასში მცენარეული ბოჭკოების ნაკლებობაა. შეგიძლიათ აგვიხსნათ რატომ?***

– მსოფლიო ისტორიის მანძილზე, დედამიწაზე არცთუ იშვიათი იყო მალნუტრიცია (საკვების და კალორაჟის სიმცირე), მათ შორის შიმშილის პერიოდებიც, რის გამოც საკვების ჭარბად მიღებისას ორგანიზმი აქცენტირებული გახდა ნუტრიენტების, განსაკუთრებით ცხიმების დაგროვებაზე, რომელიც მაღალკალორიულია და იძლევა გადარჩენის შესაძლებლობას საკვების ნაკლებობის პირობებში. სამედიცინო ტერმინოლოგიით ამას „დაგროვების გენოტიპის“ ჩამოყალიბება ჰქვია.

მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, მრავალ ქვეყანაში (უპირატესად განვითარებულ ქვეყნებში) აღინიშნა კალორაჟის სტაბილური სიჭარბე, რის ფონზეც „დაგროვების გენოტიპი“ აღარ განაპირობებს გადარჩენის ფუნქციას, არამედ პირიქით, ხდება დღეისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული, არაგადამდები დაავადებების განვითარებისა და გახშირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

***– მაღალი კალორაჟი გასაგებია. რა მნიშვნელობა აქვს მცენარეული ბოჭკოების დეფიციტს?***

– ნივთიერებათა ცვლის რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ნორმალურად ფუნქციონირება, რისთვისაც საკვები უნდა შეიცავდეს მცენარეული



**პური „მარგით“ და ქართული მიუსლი „მარგით“ მიიღეთ მცენარეული ბოჭკოების აუცილებელი მინიმუმი**

ბოჭკოების აუცილებელ მინიმუმს მაინც. ეს რომ გასაგები გახდეს, მხოლოდ ორ მომენტზე გავაკეთებ აქცენტს.

მცენარეული ბოჭკოები აფერხებს ქოლესტერინის შეწოვას, იწვევს ძღომისა და სიმაძღრის შეგრძნებას, რაც მიღებული კალორიების არა დაგროვების, არამედ რეალიზების (გამოყენების) მექანიზმების გააქტიურებას იწვევს. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი საკვები უხეში და ჰიდროფობულია და მიზანმიმართული დამუშავების გარეშე მათი გამოყენება, მრავალი დაავადების დროს წინააღმდეგნაჩვენებია.

***– რა აუცილებელ პირობებს უნდა ასრულებდეს თანამედროვე ადამიანი საკვების და კალორაჟის შერჩევისას?***

– თანამედროვე საკვების მაღალი კალორაჟი რაციონში ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლების და ცხიმების, განსაკუთრებით რაფინირებული ნახშირწყლებისა და ცხიმების სიჭარბითაა გამოწვეული. კალორაჟის შემცირება სწორედ მათი რაოდენობის შემცირებით უნდა მოხდეს და კალორაჟის ოპტიმიზაციასთან ერთად, დაცული უნდა იყოს რამოდენიმე აუცილებელი პირობა.

უპირველესი ის გახლავთ, რომ ყოველდღიურად უნდა მივიღოთ ცილების, მცენარეული ბოჭკოების და კალორიების აუცილებელი მინიმუმი მაინც: ცილები – წონა (კგ) x 0.8გრ; მცენარეული ბოჭკოები – წონა (კგ) x 0.4გრ; კალორაჟი – წონა (კგ) x (15-35). 15-35 დიაპაზონიდან თუ რა ციფრზე გამრავლდეს სხეულის წონა მინიმალური კალორჟის გამოსათვლელად, დამოკიდებულია სხეულის მასის ინდექსზე, ფიზიკურ დატვირთვაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და კალორაჟის შეზღუდვის თუ მომატების მიზნებზე.

ცილების, მცენარეული ბოჭკოების და კალორაჟის აუცილებელ მინიმუმთან ერთად, დღე-ღამის განმავლობაში სასურველია მინერალების, მიკროელემენტების და ვიტამინების მინიმალური რაოდენობით მაინც მიღება.

***– კალორაჟის შემცირება და მცენარეული ბოჭკოების დეფიციტის შევსება მრავალ პრობლემასთან ყოფილა დაკავშირებული.***

– ჩვენ ამ პრობლემებს დიდი ხანია ვიცნობთ და სწორედ მათი გადაწყვეტის მიზნით მოვაწოდეთ ტექნოლოგიები, რომლითაც მზადდება მცენარეული ბოჭკოებით, ცილებით, მინერალებით, მიკროელემენტებით, ვიტამინებით მდიდარი დაბალკალორიული საკვები პროდუქტები, რომელიც შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით შეუძლიათ მიიღონ როგორც ჯანმრთელებმა, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონეებმა და ავადმყოფებმა.

ზემოაღნიშნულის საფუძველია განხორციელებული ქართული და საერთაშორისო პროექტები როგორც საქართველოში, ისე მრავალ ქვეყანაში გამოქვეყნებული პატენტები, პუბლიკაციები და სხვა. ამ პროდუქტებს ჩვენი მოსახლეობა „მარგის“ სახელით იცნობს.

***– თუ საკვების ოპტიმალური კალორაჟი ჯანმრთელობისთვის ასე მნიშვნელოვანია და მისი შემცირება ასე რთულია, რას ნიშნავს პურის ეტიკეტებზე მითითებული 0 კალორია ან 0%?***

– მე ვერ გეტყვით, რა იგულისხმა პურის ეტიკეტზე 0 კალორიის ან 0%-ის გამომტანმა, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ჩემი პაციენტების და საერთოდ მოსახლეობის დიდი ნაწილი ნულში 0 კალორიასა და 0% საფუარს გულისხმობს. მე მათ მინდა განვუმარტო, რომ მარცვლეულის ფქვილიდან უსაფუვროდ არა თუ 0 კალორიის, არამედ 100 კილოკალორიის მქონე პურის დამზადების თეორიული შესაძლებლობაც არ არსებობს, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. თუ ვინმე ასეთ ტექნოლოგიას ფლობს, ვურჩევდი, შეიტანოს განაცხადი პატენტზე და შემდეგ ტექნოლოგია ოფიციალურად გამოაქვეყნოს. იგი აუცილებლად პატენტსაც და ნობელის პრემიასაც მიიღებს.

***– უფრო დაბალკალორიული პური „მარგის“ ან „მარგის“ სხვა პროდუქტების დამზადებაც შეუძლებელია?***

– „მარგის“ არსებული ტექნოლოგიით შესაძლებელია პური „მარგის“ კალორაჟი კიდევ 20-30 კილოკალორიით შემცირდეს, მაგრამ ეს გარკვეულწილად გამოიწვევს პურის უმაღლესი ხარისხისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლების გაუარესებას, რის გამოც მისი დანერგვისგან თავს ვიკავებთ.

დღევანდელი შესაძლებლობების გათვალისწინებით ვთვლით, რომ პური „მარგის“ კალორაჟი ოპტიმალურია.

რაც შეეხება „მარგის“ უფრო დაბალკალორიულ პროდუქტებს, ჩვენ ხელთ გვაქვს მრავალ ქვეყანაში დაპატენტებული ტექნოლოგიით დამზადებული, ცილებითა და მცენარეული ბოჭკოებით მდიდარი „მარგის“ რამდენიმე ახალი პროდუქტის სტანდარტი, რომელიც აკმაყოფილებს ასეთი პროდუქტებისათვის აუცილებელ ყველა მოთხოვნას. იმედია, მათი წარმოება მალე დაიწყება.

***– რა რეკომენდაციას მისცემთ კალორაჟის შეზღუდვის თაობაზე მკითხველს?***

– კალორაჟის შეზღუდვის დროს აუცილებლად გაითვალისწინეთ ყოველდღიურ კვების რაციონში მცენარეული ბოჭკოებისა და ცილების რაოდენობა, რამეთუ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და პროფესიულ ორგანიზაციათა რეკომენდაციით მათი მოხმარების ყოველდღიური მინიმუმია: მცენარეული ბოჭკოები – წონა x 0.4 გრამი; ცილები – წონა (კგ) x 0.8 გრამი; კალორაჟი – წონა (კგ) x (15-35);

კალორაჟის შესაზღუდად და მცენარეული ბოჭკოების შესავსებად გამოიყენეთ პური „მარგი“ და ქართული მიუსლი „მარგი“.

100 გრამი პური „მარგი“ – 8 გრამი მცენარეული ბოჭკო, 6. 41 გრამი ცილა, 172 კილოკალორია;

100 გრამი ქართული მიუსლი „მარგი“ – 19 გრამი მცენარეული ბოჭკო, 5 გრამი ცილა, 167 კილოკალორია.

პური „მარგით“ და ქართული მიუსლი „მარგით“ მიიღეთ მცენარეული ბოჭკოების აუცილებელი მინიმუმი მაინც.

სურვილის შემთხვევაში და მიზნის შესაბამისად შესაძლებელია ამ პროდუქტების მიღება გაზარდოთ რამდენითაც გნებავთ. მცენარეულ ბოჭკოებთან ერთად თქვენ საკმაო რაოდენობის მცენარეულ ცილებსაც მიიღებთ. ცილის აუცილებელი ყოველდღიური მინიმუმი 150 – 300 გრამი დაბალკალორიული, ცილებით მდიდარი ნებისმიერი პროდუქტით, ან მათი კომბინაციით შეავსეთ (მჭლე ხორცი, უცხიმო თევზი, უცხიმო ხაჭო, ლობიო და სხვა). ცილების და მცენარეული ბოჭკოების აუცილებელ მინიმუმს მინერალებთან, მიკროელემენტებთან, ვიტამინებთან და საკმაოდ მცირე კალორიებთან ერთად მიიღებთ.

საჭმლის მომნელებელი სისტემა და ნივთიერებათა ცვლა ნორმალურად იფუნქციონირებს და არ გექნებათ შემაწუხებელი შიმშილის შეგრძნება. ამის შემდეგ თქვენთვის ნებისმიერი საკვების მიღება შეიძლება იმის გათვალისწინებით, რომ ეს დამატებითი კალორიებია. თუ რა მიიღოთ ან არ მიიღოთ დამატებით, ეს სასურველია ექიმი სპეციალისტის კონსულტაციით, თქვენი მიზნების შესაბამისად გადაწყვიტოთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „მარგის“ პროდუქტებით კალორაჟის შეზღუდვა, როგორც ჯანმრთელისთვის, ისე დაავადების მაღალი რისკის მქონესთვის და დაავადებულისთვისაა შესაძლებელი, რამეთუ მას გვერდითი მოვლენები და წინააღმდეგჩვენებები არ აქვს. რეკომენდაციის შესრულების შემთხვევაში თქვენ თავს კომფორტულად იგრძნობთ და ჯანმრთელობასაც გაიუმჯობესებთ.

# ბუდაპეშტში ქართული რესტორანი ვაი მე გაიხსნა




ცოტა ხნის წინ ბუდაპეშტში ქართული კაფე-რესტორანი ვაი მე გაიხსნა. მან ბინა ტურისტულ რაიონში, ოქტომბრის ქუჩაზე დაიდო.

ვაი მე-ში ხაჭაპურის და სხვა ქართული კერძების გასინჯვა ერთდროულად 120 ადამიანს შეუძლია.

რესტორანში თითქმის მთელი დღის განმავლობაში იმყოფება მეპატრონე ხათუნა ყოლბაია, რომელმაც ბიზნესი მეუღლე თენგიზ ანდრიბავასთან ერთად წამოიწყო. ვაი მე-ს გარდა, წყვილს მოსკოვში საფერავის ქსელიც აქვს.

რესტორანი არა მხოლოდ ტრადიციულ ქართულ კერძებს, არამედ ინოვაციურ იდეებსაც სთავაზობს. მაგალითად, ასეთია ხაჭაპურისა და ბურგერის ჰიბრიდი სახელწოდებით „ხაჭაპურგერი“.

რესტორანში ყოველდღე დიდი სტუმრიანობაა. ვაი მე ერთნაირად იზიდავს სტუდენტებს, ტურისტებსა და ცნობილ ადამიანებს.

ყველაზე დიდი პოპულარობით აჭარული ხაჭაპური და „ოჯახური“ სარგებლობს.

– ქართულ სამზარეულოს ევროპაში შეუძლია ტრენდად იქცეს, – მიიჩნევს ხათუნა ყოლბაია.

ვაი მე-ში წყვილმა 400.000 ევროს ოდენობის ინვესტიცია ჩადო.

# ახალი ავტობუსები ბუნებრივ აირზე იმუშავებენ

ქალაქში საცობების განტვირთვის ერთ-ერთ საშუალებად თბილისის მერია მუნიციპალური ავტოპარკის განახლებასა და ახალი საბაგირო გზების მშენებლობასა და არსებულის განახლებაში ხედავს.

ახალი, ევროკავშირის სტანდარტების, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები ჯერ არსად ჩანს, თუმცა ქალაქის მთავრობა გვპირდება, რომ თბილისის ქუჩებში ახალი ავტობუსები უკვე 2016 წლიდან იმოძრავებენ.

უკვე ცნობილია, რომ ახალი ავტობუსები გაზზე იმუშავებენ და გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემით იქნება აღჭურვილი. მომავალ წელს იგეგმება კუს ტბისა და მთაწმინდის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია. ამ მიზნით მომავალი წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტში 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

**ირაკლი ლექვინაძე, თბილისის მერის მოადგილე:**

– თბილისში საცობების წარმოქმნის სამი მთავარი მიზეზი არსებობს: ეს არის მზარდი ავტოპარკი, მოუწესრიგებელი მძღოლები და ქვეითად მოსიარულეები. აღსანიშნავია ასევე თბილისში მიმდინარე გზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, რაც ასევე აფერ-




ხებს ტრანსპორტის გადაადგილებას. ჩვენ ვაპირებთ ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო კვანძების უფრო მეტი გამტარუნარიანობა. მნიშვნელოვანია ახალი სამარშრუტო სქემის შემუშავება და მოძრავი შემადგენლობის განახლებაც – ვგულისხმობ ავტობუსებს, მეტროს და საბაგირო ხაზებს.

***– ამ ეტაპზე რა ღონისძიებების გატარება შეძელით?***

– უკვე ძალაში შევიდა მთელი რიგი რეგულაციები, რაც მერიის კომპეტენციაში შედის. მაგალითად, დედაქალაქში შეიზღუდა პიკის საათებში დასუფთავების მანქანების გადაადგილება. დაგეგმილია საცობების აპლიკაციის დანერგვა, რაც მძღოლებს მეტი ინფორმირების საშუალებას მისცემს. ასევე ვფიქრობთ ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებას, რომ დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა უფრო მოწესრიგებული გახდეს.

***– იგეგმება თუ არა სხვა სახის ტრანსპორტის, კერძოდ, ტრამვაის, ან ტროლეიბუსის მოძრაობის აღდგენა?***

– თავდაპირველად ავტობუსების პარკის განახლებას ვგეგმავთ, უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი იბიარდის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით და 2016 წლის ივლისში თბილისში უკვე ახალი ავტობუსები გამოჩნდებიან. დაგეგმილია მეტროს სადგურების და მეტროს ვაგონების რეაბილიტაცია, უკვე შენდება კუს ტბის საბაგირო გზაც. მიმდინარეობს კვლევა და რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი განიხილება. რაც შეეხება ტრამვაის, ეს უფრო მომავლის პროექტია. იმავეს თქმა შეიძლება ტროლეიბუსებზეც – დღესდღეობით ეს თემა არ განიხილება.

***– რამდენად რეალურია ჰიბრიდული ავტობუსების შემოყვანა დედაქალაქში და რა დროისთვის მოესწრება ეს?***

– ახალი ავტობუსები ახალი ტიპის საწვავზე ანუ ჯიენჯის ბუნებრივ აირზე იმუშავებს, ეკონომიკური, ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით მისი უპირატესობა აშკარად იკვეთება. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი ავტობაზის მშენებლობაც. ახალი ავტობუსები აუცილებლად იქნება ადაპტირებული და მორგებული შშმ პირების საჭიროებებზე და მათაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მგზავრობის პირობებს.

***– ძალზე საინტერესოა საბაგირო გზების განვითარების პროექტიც. რა პერსპექტივები აქვს თბილისს ამ მხრივ?***

– თბილისი მთაგორიანი ქალაქია, შესაბამისად, აქ საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისთვის რეალური წინაპირობები არსებობს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ალტერნატიული ვარიანტების კვლევა: განიხილება ვაზისუბანი-სამგორის, უნივერსიტეტი-ბაგები-წყნეთის და დელისი-ნუცუბიძის მიმართულებები, თუ რომელზე გავაკეთებთ პირველ ეტაპზე არჩევანს, ამას კვლევის შედეგები გვაჩვენებს.

ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტი დედაქალაქის ქუჩების განტვირთვას და საცობების პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებს, რაც ჩვენთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დედაქალაქის ნებისმიერი მკვიდრისთვის.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# სოფელ ილორს ჩინელები დაეპატრონენ

## ჩინური კიტრი და პომიდორი აფხაზურ ბაზარს იპყრობს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში აფხაზები ნელ-ნელა უმცირესობაში რჩებიან. ქართველების სახლებში სხვები სახლდებიან. რუსების და ჩრდილოკავკასიელების შემდეგ აქ შუააზიელებმაც კარგად მოიკიდეს ფეხი. ახლა ჩინელების ჯერიც დადგა და ისინი ნელ-ნელა ითვისებენ ქართველებისგან დაცლილ აფხაზეთს.**

ყველაზე კარგად ჩინელებმა ფეხი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში მოიკიდეს. ამ სოფელში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც ქართველებისა და აფხაზებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლა ამ სოფელში ყველანი ჩინელებზე საუბრობენ. ილორში ისინი დაახლოებით 2 წლის წინ გამოჩნდნენ.

როგორც აფხაზური მედია იუწყება, ადგილობრივები თავიდან მათ გამოჩენას დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. მათ მიერ მოყვანილ პროდუქციასაც ეჭვის თვალით უყურებდნენ. ახლა მათი შრომისმოყვარეობით და მათ მიერ მოყვანილი პროდუქციით ყველა კმაყოფილია.

აფხაზი ჟურნალისტები ხშირად სტუმრობენ აქაურობას და ჩინელების საქმიანობით ისინიც აღფრთოვანებული არიან.

– გულწრფელად რომ გითხრათ, თავიდან ჩვენ არ გვინდოდა ჩინელებისთვის მიწის მიცემა. მათ ცუდი რეპუტაცია აქვთ, მაგრამ ჩვენ პირობები წავუყენეთ: იმუშავებთ ყოველგვარი ქიმიის გარეშე, თუ არადა, გაგაგდებთ. ამ ხნის განმავლობაში, რაც ისინი მუშაობენ, დარღვევები არ ყოფილა, – აღნიშნავს ჟურნალისტებთან საუბარში სოფელ ილორის გამგებელი ზურაბ სოლომკო.







მისი განცხადებით, ჩინელების მიმართ ის დაახლოებით ერთი წლის მანძილზე იჩენდა უნდობლობას.

– მათ მიერ გაშენებული სათბურებიდან მოწეული პირველი პომიდორი სახლში არ წავიღე, მეშინოდა, არ მოვწამლულიყავი, – ამბობს სოფლის მამასახლისი.

როგორც სოლომკო ამბობს, მათი უნდობლობა იმ ისტორიებით იყო გამოწვეული, რაც რუსეთიდან მოსდიოდათ. კრასნოდარის მხარეში ჩინელი მეწარმეები რამდენჯერმე ამხილეს, რომ მათ ხილი და ბოსტნეული ქიმიის დახმარებით მოჰყავდათ.

აფხაზეთში ისინი სხვანაირად მიუდგნენ საქმეს. დღეს მათი სასათბურე მეურნეობა 20 ჰექტარზეა გადაჭიმული, როგორც ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები ამბობენ, ორიოდე წლის წინ ამ ადგილას ტყის მასივი იყო.

ახლა აქ ბოსტნეულის და მწვანილის სათბურებია გაშენებული, სადაც მუშაობენ ჩინელები. ოცზე მეტ 200 მეტრიან ცელოფნით გადახურულ სათბურში 45 ჩინელი და 30 ადგილობრივი მუშაობს.

როგორც ჟურნალისტები ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით იუწყებიან, ჩინელების სამუშაო დღე იწყება დილაადრიანად.

ისინი მზის ამოსვლასთან ერთად მუშაობენ ყოველდღე, კვირის შუადღემდე. ჩინური წარმოშობის კიტრი და პომიდორი მოჰყავთ ღია გრუნტში, იყენებენ კალციუმის სელიტრას და ბუნებრივ სასუქებს.

ჩინელების შრომისმოყვარეობამ ილორელები აღაფრთოვანა. იმდენად აღფრთოვანდნენ, რომ მზად არიან, დამატებით გამოუყონ მიწა.

სოფლის მამასახლისის განმარტებით, ამ 50 ჰექტარზე ჩინელები მწვანილის, ხახვის, წიწაკის, კომბოსტოს მოყვანას აპირებენ.

ილორელი ჩინელების საქმიანობის მიმართ პრეტენზიები არც სათანადო სამსახურებს აქვთ.

აფხაზეთის ფიტოსანიტარული ლაბორატორიის უფროსის, რუსლან ცვიჟბას განცხადებით, ნიტრატების შემადგენლობის მხრივ, ილორში მოყვანილი ბოსტნეული აკმაყოფილებს რუსეთის სახელმწიფო სტანდარტებს.

– კალციუმის სელიტრაც ნორმის ფარგლებშია, ასე რომ, ამ მხრივ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია – განაცხადა ცვიჟბამ.

კილოგრამი ჩინური პომიდორი 60 რუბლი ღირს, ამავე ოდენობის ჩინურ კიტრს კი 75 რუბლად შეიძენთ.

ჩინელები 20 ჰექტარიდან ყოველწლიურად იღებენ 700 ტონა ბოსტნეულს, რაც აფხაზეთის ბაზრის 15-20 %-ია.

ჩინელებს ბოსტნეული ჩინეთიდან ჩამოტანილი თესლით მოჰყავთ. ამ თესლს კი არავის აძლევენ.

– ერთხელ ვთხოვე, თესლი მომეცით, მინდა ჩემს ბოსტანში დავრგო-თქო. თესლი არ მომცეს და მითხრეს, თუ გინდა, დარგული ჩითილები წაიღეო, – ამბობს სოფლის მამასახლისი.

ჩინელებმა ილორის მიწა, მართალია, კარგად აითვისეს, მაგრამ აფხაზურის სწავლა უჭირთ. არც რუსული იციან.

........

რამდენიმე ათეულ ჩინელს, ბუნებრივია, საცხოვრებელიც სჭირდება. ჟურნალისტებმა მათი სახლებიც მოინახულეს და იქ ნანახი ანტისანიტარიით გაოგნებულები დარჩნენ.

თავად ჩინელებს ეს ანტისანიტარია არ აწუხებთ. ისინი ამ ეტაპზე მთლიანად მუშაობაზე არიან გადართული. ერთ სოფელში მოყვანილი პროდუქციით, აფხაზეთის ბაზრის 15-20% დაიკავეს. ასე თუ გააგრძელეს, მალე მთელ ბაზარს ისინი დაეპატრონებიან.

# ქობულეთში დამწვარი სასტუმროს მეპატრონეები ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას ითხოვენ




ქობულეთში დამწვარი სასტუმრო „არმაზის“ მეპატრონეები საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას ითხოვენ. ისინი ირაკლი ღარიბაშვილს სამართლიანობის დადგენაში დახმარებას სთხოვენ.

ოჯახის წევრებმა და ნათესავებმა სასტუმროს ერთ-ერთი მეპატრონის ზაზა ართმელაძის წინასწარი პატიმრობა გააპროტესტეს და აღნიშნეს, რომ „თუ ვინმე უნდა დააპატიმრონ, ეს არის ანსამბლის ხელმძღვანელი გოგი მარღანია“.

ლია ართმელაძის თქმით, პრემიერ-მინისტრმა ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ ქვეყანაში სამართლიანობა იზეიმებს.

– ბატონი ღარიბაშვილი ჩაერთოს პირადად სიმართლის დადგენაში. ჩვენ ყველას გვაინტერესებს რატომ იყვნენ ბავშვები ოთახში მარტო, რატომ იყო ოთახის კარი ჩაკეტილი, რა გააკეთეს თანმხლებმა მშობლებმა ბავშვების გადასარჩენად.

გოგი მარღანიამ უნდა გასცეს სამართალდამცველების შეკითხვებს პასუხები. არჩევნები მოდის და პრემიერ-მინისტრმა უნდა დაგვარწმუნოს, რომ სიმართლე იზეიმებს ამ ქვეყანაში, – აღნიშნა ლია ართმელაძემ.

ქობულეთის გამგეობასთან შეკრებილმა ართმელაძეებმა და მათმა ნათესავებმა ქობულეთის თვითმმართველობის წარმომადგენლები უყურადღებობაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ ხანძრის შემდეგ გამგეობის წევრებს მათი მდგომარეობა არ მოუკითხავთ.

დაპატიმრებულის დედის თალიკო ტაკიძის თქმით, სასტუმრო მის სახელზეა დარეგისტრირებული და მისი შვილის დაპატიმრება არასწორია.

– „არმაზის“ დირექტორი მე ვარ და თუ ვინმე უნდა დაეპატიმრებიათ, ეს მე ვარ. იმ ანგელოზი ბავშვების მშობლებს მინდა მივუსამძიმრო, ჩვენ ისინი ყოველთვის გვახსოვს და სანთლებს ვუნთებთ.

გოგი მარღანიას მინდა მივმართო, 10 წლის გამავლობაში წელიწადში ორჯერ რომ დადიოდა რატომ ირჩევდა ჩვენს სასტუმროს თუ ის გაუმართავი იყო? – აღნიშნა თალიკო ტაკიძემ.

ოჯახის წევრები და ნათესავები ზაზა ართმელაძის გათავისუფლებას ითხოვენ.

ზაზა ართმელაძეს გამოძიება სახანძრო და სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევას ედავება, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ე.წ. „ხასანას“ სასტუმროში 10 მაისს გაჩენილ ხანძარს რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლის „სიხარული 2“-ის სამი მოზარდის სიცოცხლე ემსხვერპლა.

**ინტერპრესნიუსი**

# სოფელ აძვთან სამი პირი დააკავეს




ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ აძვის განაპირას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოსალოცად მისული რამდენიმე ადგილობრივი დააკავეს.

აძვის და მეჯვრისხევის მცხოვრებლები ზურაბ კორინთელი, დავით გუზიტაშვილი და გიორგი გოგიაშვილი შეიარაღებულმა პირებმა ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.

მიმდებარე სოფლების სხვა მცხოვრებლებს კი კატეგორიულად აუკრძალეს ტაძართან მიახლოება.

– ტაძრის სიახლოვეს გადის საოკუპაციო ხაზი, თუმცა აქ მავთულხლართები დამონტაჟებული არ არის. ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი მწვანე ბანერი კი ისეთ ადგილზეა განთავსებული, რომ ეკლესიის მიმართულებით გადაადგილებას არ ზღუდავს. შესაბამისად, ვთვლიდით, რომ ტაძართან მისვლის უფლება გვქონდა და მავთულხლართების დამონტაჟების შემთხვევაშიც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩებოდა.

რამდენიმე სოფლის მოსახლეობა ვგეგმავდით დღეს ტაძარში ასვლას, თუმცა შეიარაღებულმა პირებმა, რომელთა დიდი ნაწილიც ნიღბებით იყო, გზა გადაგვიღობეს და კატეგორიულად მოგვთხოვეს, დაგვეტოვებინა ტერიტორია. ჩვენს წინ მიმავალ მანქანაში მყოფი სამი მამაკაცი კი დააკავეს და წაიყვანეს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ სოფელ აძვის მცხოვრებელმა ეკატერინე მჭედლიშვილმა.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის დავით ტატიშვილის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომიდან დღემდე ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნულ ეკლესიაში მისვლას ახერხებდა.

დღემდე დაკავების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, ამჟამად კი, გარდა იმისა, რომ რამდენიმე ადამიანი დააკავეს და ეკლესიასთან აღარავის უშვებენ, შეიარაღებული პირების სიმრავლეც შეინიშნება. დილიდან შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველებთან ერთად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორებიც იმყოფებიან.

**ინტერპრესნიუსი**

# საელჩო ბელგიაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მიმართავს




ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩო ბელგიაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს თხოვნით მიმართავს, ბელგიის ხელისუფლების რეკომენდაციები გაითვალისწინონ. შესაბამისი მიმართვა ევროკავშირთან საქართველოს მისიისა და ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საელჩოს ვებგვერდზე გავრცელდა.

– როგორც მოგეხსენებათ, ბელგიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბრიუსელში შენარჩუნებულია ტერორისტული საფრთხის უმაღლესი, მე-4 დონე, ბელგიის დანარჩენ ტერიტორიაზე კი მე-3 დონის საფრთხე.

ბელგიის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება კრიზისების ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე მიიღო. საქართველოს მოქალაქეებს ვთხოვთ, გაითვალისწინონ ბელგიის ხელისუფლების შემდეგი რეკომენდაციები: გთხოვთ, თავი აარიდოთ ხალხმრავალ ადგილებს; შეზღუდოთ, მაქსიმალურად ქალაქში გადაადგილება, თუ ამას გადაუდებელი აუცილებლობა არ მოითხოვს; იყავით ინფორმირებულნი სანდო მედია საშუალებების ინფორმაციით; თავი შეიკავოთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებისგან; თქვენს საცხოვრებელ კომუნაში დაწესებული კონკრეტული შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია მიიღოთ, თქვენს კომუნაში ან კომუნის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ბელგიის ხელისუფლება შეზღუდვების მოხსნის ან გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს კრიზისების ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე. ბელგიის კრიზისების ცენტრში გახსნილია ცხელი ხაზი 1771, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია მე-4 დონის საფრთხით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# შეძლებს თუ არა რუსეთი იზოლაციისგან თავის დაღწევას?




პარიზის ტერაქტებმა საერთაშორისო სიტუაცია ძირეულად შეცვალა. ბევრმა ევროპელმა გავლენიანმა პოლიტიკოსმა დაიწყო საუბარი საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის შექმნის შესახებ.

მათ რიცხვს საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდიც განეკუთვნება. 26 ნოემბერს ის ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვევა.

ამას რუსეთიდან მწვავე რეაგირება მოჰყვა. რუსული დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ პუტინის რუსეთთან ალიანსი უზნეობაა.

– არ მესმის, რითაა დღევანდელი რუსეთი ისლამურ სახელმწიფოზე უკეთესი?! – ამბობს კასპაროვი.

რუსეთთან ერთად კოალიციის შექმნა მთელ მსოფლიოში არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არათუ სირიის დაბომბვაში არ მიიღებს მონაწილეობას, არამედ ანტიტერორისტულ ოპერაციებში ბუნდესვერის ჩართვაც კი გამორიცხულია.

კრემლის ყველაზე დიდი რისხვა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებამ გამოიწვია:

– ლიტვა რუსებთან ერთად არავითარ კოალიციაში არ გაწევრიანდება!

ამ განცხადებას მხარი დაუჭირეს ლატვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმაც.

პასუხად რუსეთის დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა პუშკოვმა ასე იხუმრა:

– რაკაში (ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქი) ზეიმია. ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ანტიტერორისტულ კოალიციაში არ შევლენ!

ცნობილმა რუსმა ანალიტიკოსმა, პროფესორმა სატაროვმა რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტს უთხრა, რომ პუტინი ხელისუფლებაში ანტიტერორისტულ ტალღაზე მოვიდა. ახლაც რუსეთის პრეზიდენტი იგივე სქემას იმეორებს.

– პუტინს სურს, დიდი სახელმწიფოების კლუბში დაბრუნდეს, – ამბობს სატაროვი.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ, ტერორიზმის საფრთხის მიუხედავად, რუსეთ-დასავლეთს შორის უთანხმოების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა და ეს პუტინის პოზიციამ განაპირობა. რუსეთის პრეზიდენტი კვლავაც ჯიუტად ცდილობს, ასადი ხელისუფლებაში დარჩეს. ექსპერტის აზრით, პუტინი ასადის მხარდაჭერაზე უარს არ იტყვის, რადგან ეს რუსეთში დასავლეთის წინაშე უკან დახევად აღიქმება.

ნაკლებად მოსალოდნელია მეორე ვარიანტი, ანუ ასადი წავიდეს, მისი რეჟიმი კი დარჩეს:

– ასადის გარეშე მისი რეჟიმი ხუხულასავით ჩამოიშლება, – თქვა სატაროვმა.

მეორე სერიოზული ფაქტორი დონბასია. პუტინმა უკრაინის ევროინტეგრაციის ჩაშლა ვერ მოახერხა. უკრაინა–ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას ევროპის ყველა ქვეყანამ გაუკეთა რატიფიკაცია. ასევე შემცირდა წინააღმდეგობები უკრაინა–ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე.

ასეთ სიტუაციაში პუტინს ერთადერთი გამოსავალი რჩება: დონბასზე სამხედრო პროტექტორატის შენარჩუნება და უკრაინის დანარჩენი ნაწილის დესტაბილიზაცია. ეს კი მთლიანად ეწინააღმდეგება თამაშის იმ წესებს, რომლებიც 21-ე საუკუნეში არსებობს. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაშიც კი, ევროპა სანქციების არათუ გაუქმებას, შესუსტებასაც კი ვერ შეძლებს.

– ვლადიმერ პუტინი გადაიქცა მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად რუსეთ-დასავლეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის გზაზე. სანამ ეს კაცი ხელისუფლებაშია, ვერც ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდება და ვერც ევროპასთან ურთიერთობები მოგვარდება, – ამბობს სატაროვი.

## არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციონერმა გაიმარჯვა




არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციონერმა მაურისიო მაკრიმ გაიმარჯვა. მან ხმების 51,5% დააგროვა, მისმა მეტოქემ, დანიელ სციოლიმ კი, – 48,5%.

მემარცხენე-პერონისტთა მმართველობა, რომელიც არგენტინას უკანასკნელი 12 წლის მანძილზე მართავდა, დასრულდა.

## ინგლისი და საფრანგეთი ექსტრემისტებზე დარტყმებს გააძლიერებენ

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება დიდ ბრიტანეთთან ერთად ისლამურ სახელმწიფოზე ავიადარტყმების გაძლიერების შესახებ.

– უახლოეს პერიოდში ჩვენ და ინგლისელები ავიადარტყმებს გავაძლიერებთ, – თქვა ოლანდმა.



## ტრამპი კვლავ ლიდერია

თანახმად უკანასკნელი გამოკითხვებისა, სამშენებლო მაგნატი დონალდ ტრამპი პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატებს შორის კვლავ პირველ ადგილზეა.

მას რესპუბლიკელი ამომრჩევლების 32% უჭერს მხარს. მეორე ადგილზე მყოფ კარსონს კი – 22%.

ტრამპის პოპულარობა მისმა ანტივაშინგტონურმა რიტორიკამ განაპირობა. დღეს რესპუბლიკელებში მსგავსი განწყობილებები ძლიერია.




## შოტლანდიის ნაპირებთან რუსეთის წყალქვეშა ნავს ეძებენ



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, შოტლანდიის ნაპირებთან რუსული წყალქვეშა ნავი აღმოაჩინეს.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის სამხედრო აქტიურობა შესამჩნევად გაიზარდა.

რუსულ წყალქვეშა ნავებს ხან დედამიწის ერთ კუთხეში აღმოაჩენენ, ხანაც – მეორეში.

– ეს, არ შეიძლება, შეშფოთებას არ იწვევდეს, – ამბობს რასმუსენი.

## ყირიმში უკვე გათბობაც გამორთეს

ყირიმში დენის გათიშვას გათბობის გათიშვაც მოჰყვა.

უკრაინელი აქტივისტები და ყირიმელი თათრები, რომლებიც სოფელ ჩაპლიონკასთან ყირიმის ენერგეტიკულ ბლოკადას ახორციელებენ, სარემონტო ბრიგადებს გადამცემ ხაზთან ახლოს მისვლის საშუალებას არ აძლევენ.

– სარემონტო ბრიგადებს გადამცემ ხაზთან მხოლოდ მას შემდეგ მივუშვებთ, როცა რუსეთი უკრაინელ პოლიტპატიმრებს გაათავისუფლებს, – განაცხადა ყირიმელ თათართა ერთ-ერთმა ლიდერმა რაფატ ჩუბაროვმა.

თანახმად ტელე-კომპანია „ინტერის" ინფორმაციისა, ყირიმიდან ხერსონისაკენ რუსული ტანკების კოლონა მოემართება. პასუხად უკრაინამ რუსეთთან საზღვრის ყირიმის მონაკვეთის დაცვა გააძლიერა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

### მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი", „პახმელია", „ზაპოი", ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის", თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი", კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

# ჩემპიონთა ლიგა დასკვნით ფაზაში შედის

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მე-5 ტურის მატჩები.

### Ე ჯგუფი

**ბატე-ლევერკუზენი 5.5 3.5 1.7**

ამ გუნდების პირველი მატჩი გერმანელთა უპირატესობით ჩატარდა და ფარმაცევტებმა 4:1 მოიგეს. ახლა ბატეს რევანშის კარგი შანსი აქვთ, რადგან ლევერკუზენი ბელარუსში დისკვალიფიცირებული ომერ ტოპრაკის და კირიაკოს პაპადოპულოსის გარეშე ჩავიდა. ამ ორი მცველის გარდა, ტრავმა აწუხებს რობერტო ჰიბერტსაც.

მარტო დაცვა არ იქნება ლევერკუზენის პრობლემა – ტრავმა აქვს თავდამსხმელ სტეფან კისლინგს, ხოლო ნახევარმცველი ლარს ბენდერის თამაში საეჭვოა.

მასპინძელთა დანაკლისი ვიტალი როდიონოვია, რომელსაც ტრავმის გამო ჯგუფურ ეტაპზე არ უთამაშია.

**ბარსელონა-რომა 1.28 5.0 12.0**

რომაული მატჩი 1:1 დასრულდა. ეს შედეგი უფრო ბარსას აწყობდა, რომელსაც ცალი ფეხი პლეი ოფში აქვს.

რომაელებს უკანდასახევი გზა არ აქვთ და კატალონიიდან უქულოდ წამოსვლა მათთვის ცუდი შედეგი იქნება, რადგან დიდი შანსია, შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდნენ.

ეს გუნდები პირველად არ ხვდებიან ერთმანეთს: 2002 წელს ბარსელონაში 1:1 დასრულდა, ხოლო რომში მასპინძლებმა იმარჯვეს.

რომა კატალონიაში შემტევი სამეულის – ფრანჩესკო ტოტის, ჟერვინიოსა და მოჰამდ სალაჰის გარეშე ჩავიდა. ასევე საეჭვოა დანიელე დე როსის თამაში.

მასპინძლებს კი მთავარი დამრტყმელი ძალა – ლეო მესი გამოუჯანმრთელდათ, ხოლო ლაზარეთში დუგლასი და რაფინია დარჩათ. საეჭვოა მასკერანოს თამაშიც.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| 2.რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 10:10 | 5 |
| 3.ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 11:10 | 4 |
| 4.ბატე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | 3 |

### Ფ ჯგუფი

**არსენალი-დინამო(ზ) 1.22 6.0 13.0**

არსენალმა საქმე სწორედ ზაგრებში გაირთულა, სადაც მოულოდნელად წააგო. არადა, მანამდე ლონდონელებს ორჯერ ჰყავდა დამარცხებული დინამო.

არსენალმა დღეს უნდა მოიგოს და კიდევ ბაიერნის იმედად უნდა იყოს, ხოლო შემდეგ ბოლო ტურშიც უნდა მიხედოს საქმეს. ასე რომ, არსენალი მარტო თავის თავზე არ არის დამოკიდებული.



დინამო დისკვალიფიცირებულ იოსიპ პივარიჩს მოისაკლისებს, რომელმაც პირველ მატჩში გაუტანა არსენალს. ტრავმის გამო ზაგრებში დარჩა დომაგოი ანტოლიჩი.

მასპინძლები დიდი დანაკლისით ხვდებიან მატჩს. მიკელ არტეტა, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აარონ რამზი, ტომაშ როსიცკი, ტეო უოლკოტი, დანი უელბეკი, ჯეკ უილშირი – ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც არსენალს ტრავმის გამო ვერ დაეხმარებიან.

**ბაიერნი-ოლიმპიაკოსი 1.14 7.0 23.0**

მიუნხენელებმა პირველი მატჩი 3:0 მოიგეს. ამავე ანგარიშით ბაიერნმა 1980 წელსაც მოუგო ოლიმპიაკოსს საშინაო მატჩი, ხოლო სტუმრად 4:2 იმარჯვა.

დღეს გერმანელები უდავო ფავორიტები არიან, თუმცა ოლიმპიაკოსი ბოლომდე იბრძოლებს, რადგან ეცდება მინიმალური შანსი გამოიყენოს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ამას ბერძნები ალეხანდრო დომინგესის გარშე შეეცდებიან, რომელსაც ტრავ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ცხინვალმა დილა მეორე ადგილზე დატოვა




გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის ორი მატჩი.

**საბურთალო – ზუგდიდი 1:0**

**თბილისი.** ბენდელა

1:0 კოხრეიძე (90)

**საბურთალო:** სანიკიძე, მარგველაშვილი, თოთაძე, ჩაბრაძე, ნადარაია (ბიძინაშვილი 49), ალთუნაშვილი (კოხრეიძე 75), გოშთელიანი, ხარაიშვილი, ფანცულაია (გვარაძე 46), სოფრომაძე, საბანაძე.

**ზუგდიდი:** ჯომიდავა, ს.ფიფია, ნარმანია, ელიავა, ჯავაშვილი, თიბილაშვილი (კაკაჩია 70), ტყემალაძე, ქირია (ჟვანია 88), ჩანადირი, თუთბერიძე, ბულია (სამუშია 60).

დედაქალაქურმა საბურთალომ, რომელიც უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს ატარებს, მიმდინარე გათამაშებაში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

ზუგდიდთან გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა რთული სამი ქულა მოიპოვეს. მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ცვლილებაზე შემოსულმა გიორგი კოხრეიძემ თავური დარტყმით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში.

ზუგდიდი აუტსაიდერებს შორისაა და მატჩში ფავორიტად მასპინძელი კლუბი იყო მიჩნეული. მართალია, თბილისელები 90 წუთის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, თუმცა გოლი არ გადიოდა.

თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ მატჩი სახიფათო მომენტებით იყო დახუნძლული, მაგრამ საბურთალოელებს გოლის გატანის რამდენიმე კარგი საშუალება ჰქონდათ. სტუმრები კი ძირითადად კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ცხადი იყო, რომ ქულაზეც ყაბულს იქნებოდნენ, თუმცა...

პირველი ხიფათი გაგი მარგველაშვილმა შექმნა, როდესაც სტანდარტული მდგომარეობიდან თავური დარტყმით უნდა გაეტანა, მაგრამ მიზანს ცოტა დააკლდა. ცოტა ხანში კი მასპინძლებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რის შემდეგ ნიკოლოზ საბანაძემ მეკარეს პირისპირ გურამ გოშთელიანი შეატოვა. საბურთალოელ შემტევს ჯომიდავასთვის ბურთის თავზე გადაგდება სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა და კარის აღების რეალური შანსი დაკარგა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა თამაშის ტემპს უმატეს. 59-ე წუთზე დედაქალაქელებმა ანალოგიური კომბინაცია გაითამაშეს, რაც პირველ ნახევარში. ამ შემთხვევაშიც დასარტყმელ პოზიციაზე გოშთელიანი საბანაძემ გაიყვანა. საბურთალოს ფორვარდი ისევ ტექნიკურად ცდილობდა მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდებას, მაგრამ დარტყმა ძლიერი გამოუვიდა და ანგარიშის გახსნის მორიგი შანსი დაკარგა.

დროის გასვლასთან ერთად, სტუმრებს დაღლაც დაეტყოთ, ფაქტობრივად, მთელი გუნდი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ერთ-ერთ ეპიზოდში კი შეტევაში ჩართულ თოთაძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ლაშას დარტყმული ახლო მანძილიდან გარედან მოხვდა ბადეს.

75-ე წუთზე სამწვრთნელო შტაბმა სანდრო ალთუნაშვილის ნაცვლად, თამაშში გიორგი კოხრეიძე ჩართო. სწორედ ის აღმოჩნდა ერთადერთი გატანილი გოლის ავტორი.

მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც საბურთალოელებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. სტანდარტულის ჩაწოდების შემდეგ ყველას კოხრეიძემ დაასწრო და თავური დარტყმით ბურთი ზუგდიდის კარში გადაგზავნა – 1:0.

ამ გამარჯვებით ქალაქელებმა 19 ქულა დააგროვეს და მეცხრედან მეშვიდე ადგილზე აინაცვლეს.

**ცხინვალი – სიონი 2:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0 გორგიაშვილი (58). 2:0 მერლანი (89სკ)

**ცხინვალი:** ნადირაძე, გორგიაშვილი, ქარდავა, ლექვთაძე (ბეჭვაია 90), ბაჩიაშვილი, ცერცვაძე, მაისაშვილი, კაკუბავა, ივანიშვილი (ჯაფარიძე 90), ქოჩლაძე (მახარობლიძე 64), კაჭარავა

**სიონი:** მერლანი, სვანიძე, ფოფხაძე, გაფრინდაშვილი, ჯაფიაშვილი (უგულავა 73), რაზმაძე, მანჯგალაძე, კილასონია, ვასაძე (მიქაბერიძე 64), ისიანი (საჯაია 58), ტატანაშვილი

საინტერესო მატჩი გამოდგა ჩემპიონატის ლიდერთა შორის მყოფ გუნდებს შორის. საბოლოოდ, მოიგო იმ გუნდმა, რომელსაც ეს უფრო სურდა. თუმცა, ამაში მეტოქეც არანაკლებ წაეხმარა.

ანგარიში 58-ე წუთზე გაიხსნა. ბოლნისელთა საჯარიმოში არსებული არეულობით გორგიაშვილმა ისარგებლა, რომელსაც ბურთი რაზმაძისგან მიუვიდა და გუნდი წინ გაიყვანა.

შეხვედრის მიწურულს, ცხინვალელებმა შეტევა წამოიწყეს, შორიდან, ივანიშვილმა მერლანის კარის მიმართულებით დაარტყა, რომელიც ბოლნისელთა მეკარეს ხელიდან გაუვარდა. ვიდრე მერლანი მიხვდა, რომ ბურთი კარში შედიოდა, ნახტომი დააგვიანა და მასპინძლებმა უპირატესობა კურიოზული გოლით გაზარდეს.

# ვითას მორიგი მარცხი

**ზენიტი – ვითა 101:50**

(21:9; 23:11; 19:16; 38:14)

ვთბ ლიგის რეგულარულ სეზონში მორიგი მარცხი იწვნია თბილისის ვითამ, რომელიც 50:101 სანკტ პეტერბურგში ზენიტთან დამარცხდა.

ეს სხვაობა ამ ტურნირის ისტორიაში მეორეა – ყუბანის ლოკომოტივს ტალინის კალევი 63 ქულით ჰყავს დამარცხებული.

მასპინძლები პირველი წუთებიდანვე ინარჩუნებდნენ უპირატესობას და ქართულ კლუბს მინიმალური შანსიც არ მისცემია.

ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან ზენიტი რეგულარულ სეზონში დაუმარცხებლად ასპარეზობს, ხოლო ვითას აქამდე არ მოუგია.

ამასთან, ვითა რუსეთის ძველ დედაქალაქს 9 კალათბურთელით ეწვია.

## შედეგები

### ფეხბურთი

**22 ნოემბერი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ვესტ ჰემი ..................... 4:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-20 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 19-9 | 27 |
| 3.სიტი | 13 | 8 | 2 | 3 | 27-13 | 26 |
| 4.არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 23-11 | 26 |
| 5.ტოტენჰემი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-11 | 24 |
| 6.ვესტ ჰემი | 13 | 6 | 3 | 4 | 24-20 | 21 |
| 7.ევერტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 24-16 | 20 |
| 8.საუთჰემპტონი | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| 9.ლივერპული | 13 | 5 | 5 | 3 | 17-15 | 20 |
| 10.კრ.პალასი | 12 | 6 | 1 | 5 | 14-12 | 19 |
| 11.სტოკი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-12 | 19 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 12-17 | 17 |
| 13.უოტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-14 | 16 |
| 14.სუონსი | 13 | 3 | 5 | 5 | 14-18 | 14 |
| 15.ჩელსი | 13 | 4 | 2 | 7 | 17-23 | 14 |
| 16.ნორვიჩი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 17.ნიუკასლი | 13 | 2 | 4 | 7 | 13-25 | 10 |
| 18.ბორნმუთი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-27 | 9 |
| 19.სანდერლენდი | 12 | 1 | 3 | 8 | 13-26 | 6 |
| 20.ასტონ ვილა | 13 | 1 | 2 | 10 | 10-24 | 5 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბარნლი-ბრაიტონი ........................ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-ლევანტე ............................ 0:3

ვილიარეალი-ეიბარი ...................... 1:1

გრანადა-ბილბაო ........................... 2:0

ბეტისი-ატლეტიკო .......................... 0:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 10 | 0 | 2 | 29-12 | 30 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 8 | 2 | 2 | 17-6 | 26 |
| 3.რეალი | 12 | 7 | 3 | 2 | 26-11 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-12 | 21 |
| 5.სელტა | 12 | 6 | 3 | 3 | 22-20 | 21 |
| 6.ეიბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-12 | 20 |
| 7.ვალენსია | 12 | 5 | 4 | 3 | 17-9 | 19 |
| 8.დეპორტივო | 12 | 4 | 6 | 2 | 18-13 | 18 |
| 9.ბილბაო | 12 | 5 | 2 | 5 | 18-16 | 17 |
